ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

1906 წ.
27 ნოემბერი

ახალი დროება

ორშაბათი

№ 3

ყოველკვირეული გაზეთი

№ 3

რედაქციის ადრესი:

თბილისი, მიხეილის პროსპეკტი, სახ. № 102.

რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე.

კანტორა ხელის-მომწერთათვის ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. უმუშევრობა და უმუშევარნი.—2. პროფესიონალური მოძრაობა მოსკოვში.—3. ფელეტონი. ლექსი.—მუშათა ანბანი.—4. კვირიდან კვირამდე.—5. მუშათა მოძრაობა და პროფესიონალური კავშირები. I. თბილისი.—5. რუსეთი.—6. სიტყვების ახსნა.—7. კავკასია. ხონი.—8. განცხადებანი.

ყოველკვირეული გაზეთი

„ახალი დროება“.

გამოვა ორშაბათობით.

გაზეთის ფასი ხელის-მომწერთათვის:

თბილისში:	ერთი წლით	5	მანეთი,
„	ნახევარი წლით	2 „	50 კაპ.
„	სამი თვით	1 „	25 „
„	ერთი თვით	—	40 „
თბილისს გარეთ:			
„	წლით	6	მან.
„	ნახევარი წლით	3 „	
„	სამი თვით	1 „	50 კაპ.
„	ერთი თვით	—	50 „
საზღვარ-გარეთ:			
„	ერთი წლით	8	მან.
„	ნახევარი წლით	4 „	
„	სამი თვით	2 „	
„	ერთი თვით	—	80 კაპ.

ცალკე ნომერი ღირს ორი „პური.

გამოცემა წიგნის მაღაზია

„კოლხიდასი“

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებსა და იმერეთში აგრეთვე გაზეთების აგენტებთან მუშების თვითგანვითარებისათვის საჭირო ერთი სახელმძღვანელო წიგნთაგანი:

„როგორ ცხოვრობდენ ძველათ ადამიანები“

სურათებით დ. კუდრიავსკისა, თარგმანი ის. კვიცარიძისა. ფასი 20 კაპ. (3—2)

უმუშევრობა და უმუშევარნი.

—

თბილისშიც არიან უმუშევარნი, თბილისმაც იგემა ეს უცხო ხილი დღევანდელ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ წესწყობილებისა! სამწუხაროთ, არც ჩვენს ბურჟუაზიულ ქალაქის თვითმართველობას და არც უმუშევართა საბჭოს თბილისში არ შეუდგენიათ სტატისტიკა უმუშევართა, უმუშევრობისა. მაინც, დაახლოვებით, შეგვიძლია ვთქვათ, გასულ (1906 წ.) ზაფხულს თბილისში უმუშევართა რაოდენობა მიაღწევდა 3000, თუ მეტს არა; აქედან 1000-მდე ე. წ. მუშები და 2000-მდე ე. წ. ინტელიგენტები. ახლა-კი, ესე იგი, შემოდგომისა და ზამთრის პირას—მეორეთა რაოდენობა, ეჭვი არაა, ნაკლებია, ვინაიდან ამ კატეგორიის უმუშევართა კაი ძალი უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტობა იყო,—ხოლო პირველის, აგრეთვე უეჭველია,—ახლა დიდათ მეტია, ესე იგი, უმუშევარ მუშათა რიცხვი, ვინაიდან ესენი უფრო მუდმივი ელემენტია თბილისში და მასთან, შემოდგომის მუშაობის გათავების შემდეგ, სოფლებიდანაც ბევრი მოაწყდებოდა და აწყდება ქალაქს საქმის, სამუშაოს მაძებარნი,—აგრეთვე სხვა დაბა-ქალაქებიდან *).

რუსეთის სხვა ქალაქებში, მეტადრე უფრო დიდსა და სამრეწველო ადგილებში,—მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდი და უნუგეშოა: იქ უმუშევართა რიცხვი უფრო მეტია, უმუშევრობა უფრო მწვავე... სამწუხაროთ, სწორე, სრული და სავსებითი სტატისტიკა არც ამ შემთხვევაში გვაქვს. მაინც, სატახტო გაზეთების ცნობით, მაგალითად,—პეტერბურგში ჯერ კიდევ გასულ აპრილს 42,000 უმუშევარი იყო, რომლიდან 19,659 უმუშევართა ორგანიზაციაში მოჰყვა **). სეზონის გათავების შემდეგ, კიდევ მიემატა პეტერბურგის უმუშევართა ჯარს 20,000 კაცი, რომელნიც „უპუროთ და უმუშევრათ დარჩენ“ ***). კიდევ: ქ. ტულაში (ეს მაისის თვის ცნობებია) დაკეტეს „პატრონის“ ზავოდი და 10.000 მუშა ქუჩაზე გამოყარეს; ბელოსტოკში ორ ფაბრიკიდან 3000 მუშა დაითხოვეს ****). მრავალი სხვა ქალაქებიდან კიდევ უარესი ცნობებია... უფრო მეტი ცნობები პეტერბურგის უმუშევართა შესახებ გამოქვეყნდა გაზეთებში. ზემოთ-მოყვანილ ანგარიშს ეთანხმება კნიაზევიც *****), რომელიც უმატებს შემდეგ უფრო დაწვრილებით ცნობებს: ფეხსაცმელების მკერავ „ცეხში“ (პეტერბურგში) უმუშევრათ დარჩენილია 2000-მდე, ობუხოვის ზავოდიდან გამოყარეს 700-მდე, დაკეტეს ზავოდები: რეჩკინისა, პულმანისა, საველიევისა, ვილკენისა და რამდენიმე ათასი კაცი უმუ-

*) ნახე „ახალი დროება“ № 2—დამატებაში—კანდიტერ-მებულკეების კავშირის ბიუროს განცხადება.

**) ნახე „Вѣстникъ Жизни“ № 3.

***) „ „Наше дѣло“ № 8.—11 ნოემბრის 1906 წ.

****) „ „Вѣстникъ жизни“ № 6.

*****) „ Князевъ. „Борьба съ безработицей“.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შევრათ დასტოვეს,—პოსსელის ზავოდიდან კიდევ 400 კაცი დაითხოვეს.. და, ასე ამგვარად, გაუთავებელი სია დათხოვილების, ქუჩაზე უპუროთ, უმუშევრათ დაყრილების!..

არც განათლებული „თავისუფალი“ ბურჟუაზიული ევროპა და ამერიკაა მოკლებული ამ საუცხოვო მოვლენას კაპიტალის ბატონობისას,—პირ-იქით, იქ ეს „არ ახალია—ძველია“. აი ცნობებიც: საფრანგეთში 9.500.000 მუშიდან 406.000 უმუშევარია,—ე. ი. 5,6% ყველა დაქირავებულ მუშებისა; ეს 1896 და 1901 წლებში მთავრობის-მიერ მოხდენილ აღწერილობიდანაა გამოანგარიშებული, როგორც საშუალო რიცხვი: 1896 წელი—იყო მრეწველობის აწევის, განვითარების დრო, ხოლო 1901—დაწევის, დაცემისა.

ინგლისში—1904 წელს, „შრომის კომისიის„ (მთავრობისმიერ) გამოკვლევით, მარტო ლონდონში 6,8% უმუშევარნი იყვნენ;—მარა ეს რიცხვი სინამდვილესთან შორს იყო, რაც დამტკიცდა იმით, რომ იმავე ქალაქის ერთ კვარტალში (მუშათა კვარტალში—პოპლარში), ნამდვილ და სწორე გამოკვლევით, 24% უმუშევარი აღმოჩნდა, ესე იგი, ასიდან არა 6—7 კაცი, არამედ 24 უმუშევარი!

გერმანიაში—ქ. ბერლინში 1895 წელს, პროფესიონალური აღწერით, 30.000 უმუშევარი იყო დათვლილი; 1902 წ.—იანვარში, როცა დაზღვევის საკითხი იყო კანონმდებლობით გადასაწყვეტი,—სოციალდემოკრატები ამტკიცებდენ, რომ ბერლინში 30.000 კი-არა,—50.000 უმუშევარიაო; იმპერატორ ვილჰელმ მე-II-ის მინისტრი პოსადოვსკი-კი არწმუნებდა ყველას,—7.500-ც არ იქნებაო. სიმართლის აღსადგენათ, 12.000-მა მუშამ, ერთი ტეხნიკის ხელმძღვანელობით, რამდენსამე დღეში გამოიკვლიეს,—აღწერეს უმუშევარნი ქ. ბერლინისა და აღმოჩნდა 76.000! ხოლო, თუ ამას დროებით უმუშევრობას წაუმატებთ,—მაშინ სულ ერთ ქალაქში 117.000 უმუშევარი იყო! ამ გვარივე სურათია ამერიკის შეერთებულ შტატებში, მეტადრე რკინის გზებზე მოსამსახურეთა შორის...

საფრანგეთში 29 მარტს 1896 წ. უმუშევართა რიცხვი იყო 270.000, აქედან ერთი მესამედი დედაკაცებია;—ყველა მუშების რიცხვთან შედარებით, თითოეულ ათას კაცზე 46 უმუშევარია. აქვე 1902 წელს—თებერვალში დიდ დამწვავე უმუშევრობის დროს, მთავრობის კომისიის (Office du travail) ანგარიშით, უმუშევართა რიცხვი 15%-ია, ესე იგი, თითოეულ ასზე—15 უპურო და უმუშევარია! ჩვეულებრივ დროს, რომელსაც ღიპ-ჩამოშვებული ბურჟუები „კეთილ-მდგომარეობის ხანას“ ეძახიან,—უმუშევართა რიცხვი 10%-ია, 9%-ია, 8%-ია და 7%-ზე დაბლა არ იწევა, ესე იგი, ბურჟუაზიისათვის „კეთილ“ დროს ასიდან შვიდი მაინც უმუშევარია და შიმშილით კუჭი ეწვის!.*) აი, კიდევ ცნობები გერმანიის შესახებ: უმუშევართა რიცხვი ზამთარში მეტია, ზაფხულში ნაკლები; 1895 წ. ზამთარში იყო 4,18% ფაბრიკა-ზავოდების ყველა მუშების რიცხვისა, ესე იგი, 5.566.000 მუშიდან—274.000 უმუშევარი იყო; იმავე წლის ზაფხულში—1,53%; უმუშევართა რიცხვი—„შავ მუშებ შორის“ უფრო მეტია, ვინემ „ხელოსან მუშებში“,—მცირეწლოვანთა შორის, ვინემ დიდებში, მამაკაცებში—ვინემ დედაკაცებში,—ცოლიანებში,—ვინემ უცოლოებში**).

არც ,,კურთხეული'' ახალი ზელანდია, რომელიც ჩვენს ფედერალისტებს თითით საჩვენებელ ბედნიერ ქვეყნათ ყავთ აღმოჩენილი, რომ ავტონომია-ფედერალისტობის უებარი წალმოჩენილი, რომ ავტონომია-ფედერალისტობის უებარი წალმოჩენილი, ყოველგვარ სოციალურ სიდუხჭირისაგან,—ყოფილა თურმე მოკლებული უმუშევრობას, უმუშევრობის მლობა გვიჩვენონ ... საკითხი მასაც აღელვებს!—ამ ქვეყნის შრომის მინისტრმა ბ. ... ...

მოვლენათა!.. რამდენიც უნდა იჩხავლონ ჩვენმა ანარქისტებმა, მაინც ოდნავადაც ვერ შეარყევენ დიდებულ პრინციპს დიალექტიკურ განვითარებისას, სამეცნიერო სოციალიზმისა, მატერიალიზმისა. ისინი ვერ მოსპობენ ბუნების განვითარებას, ევოლიუციას, მუდმივ განვითარებას ადამიანთა საზოგადოებების, მუდმივ დენას და ცვალებადობას ცხოვრებაში, შლა-დარღვევას ძველ წეს-წყობილებათა, რწმენათა, ჩვეულებათა და მათგანვე და მათშივე მის მოწინააღმდეგე მოვლენათა, წეს-წყობილებათა, ზნე-ჩვეულებათა და რწმენათა განვითარებას, შეგნებას... მარა, დაუბრუნდეთ ჩვენს საგანს...

წვრილმა საკუთრებამ, როგორც კომუნისტურმა საზოგადოებამ, არ იცის ეს მოვლენა - უმუშევარნი, უმუშევრობა... თუ-კი იცის, როგორც იშვიათი გამონაკლი, რადგან ყველა მესაკუთრეა და მოუსავლობა-შიმშილობა საერთოდ ყველასათვისაა, და არა საზოგადოების ცალკე ჯგუფებისათვის; ისიც დროებითი... მხოლოდ დასახიჩრებულნი და „გარეწარნი“ დარჩებიან უმუშევრათ, უსაქმოთ... ბევრ მათგანს ხმა ხალხისა „ცოდვილად“, ზარმაცად აღიარებს...

სულ სხვაა უმუშევარნი და უმუშევრობა თანამედროვე ბურჟუაზიულ მსხვილ წარმოებაში. აქ ეს მოვლენა მუდმივია, კაპიტალის გაჩენიდან თანდაყოლილი, მისი ღვიძლი შვილი, თანდათან გაზრდილი და, დღეს აუცილებელ! გადასაწყვეტად დამდგარი კაცობრიობის წინ, სოციალური საკითხი. კაპიტალი, როგორც მიწა, მანქანები, ფაბრიკა-ქარხნები, რკინის გზები და სხვა, ტეხნიკის განვითარების შემწეობით,—დიდათ უმცირეს ნაწილში მოგროვდა: --უმრავლესობა-კი, — წინანდელი დამოუკიდებელი წვრილი მესაკუთრენი—ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, გლეხები—გაკოტრდენ და კოტრდებიან მსხვილთან ბრძოლაში, გაპროლეტარდენ და პროლეტარდებიან, და მიექირავენ და ექირავნებიან კაპიტალის პატრონებს... ამათ-კი უზომო გამდიდრების სურვილმა სძლია ყოველივე წინანდელ დროებიდან გადმოცემულ ადამიანურ ინსტიქტს და მხოლოდ „მოგება“, „პროცენტი“, პროცენტი, დილა—ერთი სიტყვით, ზედ-მეტი ღირებულება დაისახა თავის კერპად, თავის სათაყვანებელ ღმერთად... ამის გარეშე სხვა არა-რა დაურჩათ მათ... ყოველივე მას, რასაც დაქირავებული მუშა აწარმოებს, აკეთებს, კაპიტალისტები ორ ნაწილათ ყოფენ: ერთი ნაწილი სამუშაო ხელფასია და მეორე—ხშირათ პირველზე მეტიც - ზედმეტი ღირებულებაა; ეს არის დავლა ბურჟუაზიისა პროლეტარიატისაგან აღებული და ყოველდღე ასაღები, სანამ კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს... რამდენადაც ხელფასი ნაკლებია,—დავლა დიდია;—ესეც დამოკიდებულია იმისგან, თუ რამდენია მუშა ხელის მოთხოვნა და რამდენი შეძლევა. თუ უკანასკნელი ჭარბობს პირველს, მაშინ ხომ ყოველთვის დამქირავებელია მოგებული, რადგან მას, მუშათა მოცილეობის იმედით, შეუძლია ის მუშა აირჩიოს, რომელიც ნაკლებზე დათანხმდება და შრომის ყოველგვარ პირობებს ურიგდება. მეტი მუშებიც შრომის ბირჟაზე იქიდან ჩნდებიან, რომ მანქანები და სხვა გაუმჯობესებანი წარმოებისა ყრის ბევრ მუშას წარმოების გარეთ—ქუჩაზე, რადგანაც, მანქანების შეწწეობით, დიდათ უფრო მეტი კეთდება საქონელი, ვინემ წინეთ, ხელსაქმობით ან მანუფაქტურის დროსაც-კი კეთდებოდა

მასთანვე მსხვილი წარმოება მრეწველობაში იწვევს სოფლის მეურნეობის მსხვილ წარმოებას. აქ-კი დიდი მემამულენი, მეფეს-თანერთად ართმევენ წვრილ მწარმოებელთ—გლეხებს მათი მცირედ ნაჭერ მიწებსაც, ან ეს უკანასკნელნი თვითონ ტოვებენ და

გარბიან ქალაქისკენ... ხელოსანი ქალაქში პროლეტარდება
მსხვილ მრეწველებთან ბრძოლაში, აგრეთვე წვრილი ვაჭ-
რები მსხვილ ვაჭრებთან ბრძოლაში... ქალაქის პროლეტარებს
სოფლის—ემატება... და დგება ის ,,არმია‘‘—ჯარი, რომელ-
საც კ. მარქსმა სათადარიგო სამრეწველო ჯარი უწოდა.
ესენია უმუშევრები!—ესენი ყოველგან არიან, როგორც დავი-
ნახეთ ზევით!— უამათოდ კაპიტალიზმს არ შეუძლია გან-
ვითარება. კაპიტალისტი, როცა უნდა, ყრის გარეთ მუშებს,—
ეს, რასაკვირველია, წარმოების დაცემის დროს, კრიზისების
დროს,—როცა უნდა აირჩევს სათადარიგო ჯარიდან, რამდე-
ნიც უნდა,—ეს, რასაკვირველია, წარმოების აწევის, აყვა-
ვების დროს... მარა, ამ შემთხვევაშიაც ის არასოდეს ვერ შესძ-
ლებს ყველა აიყვანოს...და თუ მაინდამაინც მოხდება ასეთი
იშვიათი შემთხვევა,—ის შესაძლებელი იქმნება მხოლოდ რო-
მელიმე დარგში წარმოებისა—და განსაზღვრულ დროს გან-
მავლობაში... აქ ბაზრის გაფართოვებაც ვერა შველის, რად-
გან მუშათა რიცხვი უფრო მრავლდება, მეტადრე კრიზისების
დროს; კრიზისები ხომ აუცილებელი დრო-გამოშვებითი მოვ-
ლენაა კაპიტალისტურ სახელმწიფოში. ეს ის წინააღმდეგო-
ბაა ამ წეს-წყობილებისა, რომელიც ასე სრულად და სავსებით
ხატავს და ამტკიცებს მის უვარგისობას მომავალში: კრიზისის
დროს აუარებელი საქონელი ლპება საწყობებში და მუშა,
მისი შემქნელი კი შიმშილით კვდება... რატომ, რისთვის, ვის-
რა ვირი მოპარა მან? იმიტომ, რომ კაპიტალისტს, თუმცაღა შიგ
ფაბრიკა-ქარხნებში შრომა განსაზოგადოებული აქვს მანქანები-
სა და მუშათა შორის შრომის განაწილებით, მარა ანარქიაა
გამეფებული მის წარმოებაში, ესე იგი, ის აწარმოებს უპლა-
ნოთ, უგეგმოთ, არც იცის, რამდენი საქონელია ბაზარ-
ში საჭირო, და არც სურს იცოდეს, ოღონდაც, რაც შეიძ-
ლება, მეტი საქონელი ამზადებინოს მუშას, მეტი აწვალოს ის...
ანარქია წარმოებისა მშობელია კრიზისებისა, რომელიც თავის
მხრივ ძველ უმუშევართ აუარებელ ახალ ჯარს უმატებს...
რუსეთის უმუშევრობაც იმგვარისაა, როგორც სხვა-
გან, ესე იგი, ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული,
კაპიტალისტური წარმოების გაბატონებით, ტეხნიკა-მეც-
ნიერების განვითარებით სოფელ და დაბა-ქალაქების
წვრილ წარმოებათა გაღატაკებით და ხალხის უმრავლესობის
გაპროლეტარებით. მარა, ეს ჩვეულებრივ ითქმის .. ხოლო ამ
კითხვის დღევანდელ გამწვავებაში, უეჭველია, მთავრობაა, პო-
ლიციურ-პროვოკატორული მთავრობა დამნაშავე. ის ებრძვის
რევოლიუციას... ამის მომხრე უფრო პროლეტარებია, უფრო
შეგნებული ნაწილი იმისი... ის მან უსწორო ბრძოლაში შარ-
შან დეკემბერში დროებით დაამარცხა... და ამ შავ-რეაქციის
დროს სურს სული ამოხადოს,—შიმშილით და წყურვილით
ამოხოცოს დიდებული მებრძოლი და მესვეური ამ დიდი რე-
ვოლიუციის - რუსეთის პროლეტარიატი. აი ფაქტი: პეტერ-
ბურგის უმუშევართა საერთო რიცხვიდან 63 პროც. გაფიცვისა
და „პოლიტიკისათვისაა“ გამოყრილი ფაბრიკა-ზავოდებიდან...

ობუხოვის ზავოდის (პეტერბურგშია) დირექტორმა უთხრა
შეგნებულ მუშებს: „სამუშაო ბევრია, მარა უმაღლესი მთავ-
რობა არ გვაძლევს ნებას თქვენ მიგიღოთო“...

ხაზეინებიც ხომ საკმაოდ ხელს ითბობენ ამ რეაქციის
ალში, სადაც პროლეტარიატის ყველა მტრებს გონიათ—ჩა-
სწვავენ, ჩაბუგავენ მათ, სოციალიზმის მომხრეთ... მეტ-
წილს ისევ 10—14 საათს ამუშავებენ, უზრდელად ეპყრო-
ბიან, ძლიერ მცირე ხელ-ფასს აძლევენ და ყოველგვარ
ძველ პირობებს უბრუნებენ მუშა ხალხს. რასაკვირველია,

უმეტესი ნაწილი ნაკლებათ შეგნებულ მუშებისა მოყვებათ მათ ხელში.—ბურჟუაზიამ ხომ ისარგებლა და კიდეც უნდა უფრო ისარგებლოს იმ „თავისუფლებით“, რომელიც ასეთი გმირული ბრძოლით გამოგლიჯა თვითპყრობელობას პროლეტარიატმა და მისმა პარტიამ—სოციალ-დემოკრატიამ... ეხლა რეაქციით სარგებლობს ის! ასეთი უნდობარია და შეურიგებელი მძარცველთა კლასი გაძარცულებისათვის, ბურჟუაზია—პროლეტარიატისათვის!.. ნუ თუ სჭიროა აქ ისიც მოვიხსენიოთ, რომ ზღაპრად-გადაქცეული შიმშილი რუსეთის სოფლებში აუარებელ ახალ უმუშევართ მატებს ქალაქებს!.. სოფლებში დარჩენილები ხომ სიმშილისაგან და ათასგვარ მით გამოწვეულ სენთაგან იხოცებიან აუარებელი. უმუშევარნი სოფლად, უმუშევარნი ქალაქებში,—ეკვი არაა, საშიშარი ამაფეთქებელი ძალაა ყველა ექსპლოატატორებისათვის... ტყუილად კი არ მართავენ ისინი ამ დაბოლო დროს „სიეზდებს“, როგორც, მაგალითად, სიეზდები მთელ რუსეთის თავადაზნაურობისა და მეფაბრიკე-მეზავოდეების. მარა, შველიან რასმეს, თუნდ. ბ-ნი მინისტრი სტოლიპინი თანაუგრძნობდეს მათ და შავ-რაზმელების ჯარი ყოველთვის მზათ იყოს „პოგრომების“ ან „ტეროროის“ მოსახდენად?! განა ისტორიის ჩარხს უკან დააბრუნებენ?!. ჯერ ისტორიამ არ იცის ასეთი მაგალითი, წინააღმდეგი-კი ბევრი... ვინ იყვნენ 1789 წ.! საფრანგეთის დიდ რევოლიუციის დროს, ყველაზე უფრო აქტიური და მხურვალე რევოლიუციონერები? მაშინდელი უმუშევრები!

1830 წელს აგრეთვე საფრანგეთის რევოლიუციის აჯანყების პირველ ჯარს შეადგენდენ უმუშევარნი, ქუჩაში გაყრილი მუშები ბეჭდვითი საქმისა... 1848 წელს,—საშინელ კრიზისის დროს—ზამთარში, პირველათ უმუშევრებმა დაიწყეს რევოლიუციორი მოძრაობა.

ივნისის აჯანყებაც (იმავე 1848 წ.) ნაციონალური სახელოსნოების დაკეტვამ და აუარებელი მუშების ქუჩაზე გამოყრამ გამოიწვია.

1871 წ., პრუსიელების-მიერ პარიჟის ალყის შემორტყმის დროს, გერმანელებსა და ფრანცუზებ შორის ომიანობაში უმუშევრობამ მუშები დიდებული კომმუნის სალდათებათ აქცია *). ასეთია ფაქტები, ასეთია ნამდვილი ისტორია!—ვნახოთ, რუსეთში რა იქნება!—ეს-კი ვიცოდეთ, გზანი ისტორიისა უცვლელია.

მაშ, რა მოსპობს უმუშევრობას? რა ეშველება უმუშევრებს? ვინ და რაგვარ უნდა მიეშველოს მათ? ამათზე შემდეგ.

პროფესიონალური მოძრაობა მოსკოვში.

—

მოსკოვის პროფესიონალური მოძრაობა პეტერბურგისაზე კიდევ უფრო ახალგაზდაა. წმინდა პროლეტარული და თან მებრძოლი პროფესიონალური კავშირები მხოლოდ 1905 წლის ბოლოში იწყებენ აღმოცენებას; სწორეთ ამიტომ არის, რომ მათ იმავე პეტერბურგთან შედარებით ნაკლებათ დაჩნდათ წარსულის გარეგანი ბეჭედი, ნაკლებათ შეეტყოთ მათ პოლიციურ ზღუდეებთან შეგუების მეცადინეობა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, პროფესიონალურ მოძრაობას,—თუ ფორმას არა,—მის შინაარსს—ეკონომიურ ბრძოლას – ცოტათ თუ ბევრათ ღრმა წარსულში უნდა მოუნახოთ ფესვები. 1869 წ. დაარსდა მოსკოველ ასოთ-ამწყობთა „კასა“. ეს კასა ბრძოლის იარაღი იყო—არა მუშებისა ხაზეინებთან, არამედ ხაზეინებისა მუშების კლასიურ შეგნებასთან: ამ კასას ნახევრათ საქველმოქმედო ხასიათი ჰქონდა; იქ მონაწილეობას იღებდენ როგორც მუშები, ისე ხაზეინები. თითქმის ყველა თანამდებობანი მამაშვილურათ ხაზეინების ხელში იყო. მისი დამამონავებელი ხასიათი, რა თქმა უნდა, ვერ დაემალებოდა, თუ მუშების შეგნებას არა, მათ ალღოს მაინც. ამიტომ ამ კასას ფართო პროლეტარული მასსა არ ეკარებოდა, და არც არავინ ბაძავდა იმის მაგალითს სხვა პროფესიებში. ამ უძველესმა „პროფესიონალურმა“ კავშირმა რის ვაი-ვაგლახით ჩვენ დღემდეც მოაღწია, და დღევანდელ პროფესიონალურ მოძრაობისადმი თავის „საკადრისი“ პოზიცია დაიჭირა, როგორც ქვევით დავინახავთ.

პროფესიონალურ მოძრაობისათვის ნაყოფიერი ნიადაგის მომზადება მოსკოვშიც ისე, როგორც რუსეთის ყველა სამრეწველო ცენტრებში, იწყება ოთხმოცდა მეათე წლების ნახევრიდან, როცა ეკონომიური გაფიცვები, სოციალდემოკრატიული აგიტაციის ზეგავლენით, მთელ რუსეთში ვრცელდებიან გადამდები სენივით. ყველგან ამ დროიდან იბადება მუშებში მისწრაფება— ფართო ეკონომიური ლეგალური ორგანიზაციები შექმნან—და ეს მისწრაფება აქა-იქ ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა დაარსებაში გამოიხატება. გაღვიძებული ბრძოლის სული აქ იმით იჩენს თავს, რომ მუშები წინააღმდეგნი არიან ამ საზოგადოებებში ხაზეინების შეშვებისა. თითო-ოროლა ასეთი საზოგადოება ამ ხანებში მოსკოვშიაც დაარსდა. მაგალითად: „ურთიერთ დახმარებითი კასა ტიპოლიტოგრაფებისა მოსკოვში“, „ოფიციანტებისა და სხვა ტრაქტირების და სასტუმროების მოსამსახურეთა მოსკოვის ურთიერთ დახმარების საზოგადოება,“ „მოსკოვის ურთიერთ დახმარების საზოგადოება კომერციულ მოსამსახურეთა“ და სხვა.

მაგრამ მთავარი ტიპი მაშინდელ ეკონომიურ ორგანიზაციებისა მოსკოვში მაშინ ესეთი საზოგადოებები არ იყვენ. პროფესიონალურ მოძრაობაში ჩაერია კაცი, რომელმაც ამ მოძრაობას თავისი დაღი დაასვა და ის რამდენსამე ხანს თავის ძლიერ გავლენას დაუქვემდებარა;—ეს კაცი იყო პოლიციელი „სოციალისტი“ ზუბატოვი.

პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას მეფის მთავრობამ გამძვინვარებული ომი გამოუცხადა. მათრახი, ტყვია, ციხე, ციმბირი—ყველა ეს მთელი რუსეთის ბიუროკრატიამ მხნეთ აამოძრავა გაფიცულების წინააღმდეგ. მოსკოვმა-კი ორიგინალობა ინდომა. რომ ეკონომიური ბრძოლა მოსკოვშიაც ნაყოფიერ ნიადაგს იპოვიდა, რომ „მატუშკა-მოსკოვის“, ცოტა არ იყოს, საეკვო, ტრადიციული ერთგულება ტახტისადმი გაფიცვას წინ არ გადაეღობებოდა, ეს ყველა საზრიანმა პოლიციელმა იცოდა; და თუ სხვებს ეს დარდიან გუნებაზე დააყენებდა, ზუბატოვი იმ სანუგეშო რწმენას დაადგა, რომ თუ ამ ისტორიულათ აუცილებელ ეკონომიურ ბრძოლას სათავეში თვითმპყრობელობა ჩაუდგება, ის მუშების გულში ღრმა მადლობასა და ერთგულებას დაიმკვიდრებს და რევოლიუციონური სოციალდემოკრატია-კი გარიყული დარჩებაო. და ამ ზეციერ და მიწიერ ღმერთთა დიდათ სასიამოვნო საქმეს ზუბატოვმა ენერგიულათ მოკიდა ხელი. პირველმა ცდამ ზუბატოვზე გამამხნევებლათ იმოქმედა. პოლიტიკურათ აღუზრდელ მუშების გულის მონადირება მას არ გაუჭირდა, პროფესიონალურ ბრძოლას ნიადაგი ისედაც მომწიფებული ჰქონდა და

---

*) Э. Вальянъ. Кризисъ и безработица.

მასსამ გულწრფელი თანაგრძნობით შეხედა იმათ, ვისაც ხელში დიდი ძალა უჩანდა, თან მის ინტერესებს წინ ეგებებოდა, თითქოს ყოველგვარათ მათ შველას ცდილობდა. ამ მასსიური გატაცების სანიმუშოთ მოვიყვანთ ერთ მოსკოველ ნოქრის სიტყვებს, რომელიც ოდესღაც ზუბატოვშჩინათი მოხიბლული იყო: ,,დარწმუნებული ვიყავი, რომ ეგ არის ვიშოვე სწორეთ ის საქმე, რომელიც მე მწყუროდა. თითქოს ცხადათ მეხატებოდა წინ უკეთესი მერმისის განთიადი, რომელიც აგერ საცაა გაანათებს ნოქრის მწარე ბედსა; და ეს ოცნება სულ წინაალმდეგზე ახდა“...

ზუბატოვმა გაიჩინა ,,მარდი‘‘ აგენტები,—აფანასიევი, ჟილკინი, კრასოვსკი და სხვ., რომლებიც ბეჯითად დაძვრებოდენ ქარხანა-ფაბრიკებში, ამხედრებდენ მუშებს ხაზეინების წინააღმდეგ, თან მეფისადმი მადლობას უნერგავდენ გულში, და მის მაგივრათ მრავალ წყალობას ჰპირდებოდენ. რომ მათი ეკონომიური აგიტაცია უნიადაგო სიტყვებათ არ დარჩენილიყო, ისინი ხაზეინების ნამდვილ მყვლეფელობის ფაქტებზე უთითებდენ, ადგენდენ შესაფერ მოთხოვნილებებს, უმარტავდენ იმათ თითონ ხალხს და ხაზეინებს უყენებდენ. ზუბატოვმა არც „გონებრივი ინტერესები“ დაივიწყა და მუშებს სხვა-და-სხვა ლექციების სისტემატიური კითხვა გაუმართა, ამ მიზნისათვის მან დაიხმარა მოსკოვის უნივერსიტეტის რამდენიმე მეცნიერი, რომლებმაც მერე, მიხვდენ·რა, რომ ზუბატოვმა ისინიც თვის პროვოკატორულ ქსელში გააბა, თითქმის ყველამ თავი გაანება ამ განმანათლებელ მოღვაწეობას...

ამნაირათ, ზუბატოვშჩინამ მოსკოვში მებრძოლ ეკონომიურ მოძრაობას დაასწრო და სოციალურათ გამოღვიძებულ პროლეტარიატს მიმრქმელათ თითონ გაუხდა, ზუბატოვის აგენტებმა მეხანიკურ მუშებ შორის დააარსეს „პროფესიონალური ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება“, რომლის წევრებათაც, დაარსების უმალ, ჩაეწერენ მიტროპოლიტი ვლადიმერი და აწ ღვთით განსვენებული ტრეპოვი, მაშინ მოსკოვის ობერ-პოლიციმეისტერი. ასეთივე „კავშირები“ დაარსდა მეთამ-

ბაქოებში, საქსოვ ქარხნებში და სხვაგან. ეს საზოგადოებები,
რა თქმა უნდა, ზუბატოვის იდეას პოლიციისა და მუშების
შორის ბუნების საწინააღმდეგო კავშირს უფრო სისტემატიუ-
რათ ახორციელებდნენ. მათი აგიტაცია არა ერთხელ გაფიც-
ვათ ქცეულა. აქ ერთ საყურადღებო მაგალითს მოვიყვანთ
ერთ ფაბრიკაზე, რომლის პატრონი, გვარათ გუჟონი, საფრან-
გეთის ქვეშევრდომია: 1902 წ. გაზაფხულზე ზუბატოვის აგენ-
ტების თაოსნობით გაფიცვა გაიმართა. 200 მუშის სახელით
ხაზეინს მოსთხოვეს 40,000 მანეთი, რომელიც, მათი სიტყვით,
ზავოდის ადმინისტრაციამ დააკლო მუშებს. აქ დაუჯერებელი
და გასაკვირალი არა იყო-რა, რადგანაც შტრაფები და სხვა
ბოროტმოქმედებანი ძალიან ხშირი მოვლენა იყო მაშინდელ
ზავოდებზე; მაგრამ ადმინისტრაციამ ამ მოთხოვნილებებზე ცი-
ვი უარი განაცხადა; ასეთი კადნიერება ზუბატოვის აგენტებმა
ძალიან ითაკილეს და ზავოდის პატრონს დაპატიმრებას დაე-
მუქრენ. მაგრამ საქმეში საფრანგეთის კონსული ჩაერია, და
ამან პირობები არა სასურველათ შეატრიალა: ეს გარემოება
იმის საბაბი შეიქნა, რომ ფინანსთა სამინისტროც მოსკოველ
პოლიციის „სოციალისტების“ წინააღმდეგ ამხედრდა. ამნაირათ,
პოლიციურ სოციალიზმში შინაგანმა წინააღმდეგობამ იჩინა
თავი. მაგრამ სიკოტრე ზუბატოვშჩინას უფრო სხვა მხრიდან
მოელოდა: მუშებმა, რომლებიც პირველათ ძლიერ მიიზიდა
ზუბატოვიშჩინამ, თანდათან ეჭვიანის, კრიტიკულის თვალით
უწყეს თვის „კეთილისმყოფლებს“ ყურება. 1901 წელი
უბედური წელიწადი იყო რუსეთის თვითმპყრობელობისათვის;
მაშინ გაიხსნა მუშათა მასსიური პოლიტიკური მოძრაობის ხა-
ნა. მოსკოვში თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში .მთელი
მოსკოვის მუშა-ხალხი ათიათასობით ქუჩებში გამოფენილიყო
და რევოლიუციონური სიმღერებით მებრძოლ სტუდენტობას-
თან ერთად, პროტესტსა და სიძულვილს უცხადებდა დიდ-
მთავარ სერგის მთავრობასა და პოლიტიკას. ეს არც ზუბა-
ტოვშჩინისათვის იყო სიკეთის მომასწავებელი. ამ წლიდან და-
წყებული კავშირი რუსეთის რევოლიუციასა და პროლეტა-

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

სახრჩობელასთან.

პასუხათ „სულიერ მამებს“.

ძირს კერპები!.. მსახურებდეთ
მათ ბომონებს ბნელს, შესაზარს...
მე თაყვანს ვცემ ხელოვნებას,
გუნდრუკს ვუკმევ ნიჭის ტაძარს!!.

—

ქუჩის შვილი, ბრძოლით მხოლოდ,
ქუჩით ვპოვებ მოსვენებას:
ქედს არ ვუხრი, ფეხქვეშ ვთელავ
კერპთ-მსახურებს, იმათ მცნებას!..

—

რას მიქვიან ირონია?..
რას დამაკლებს მე ცინიზმი?!.
„ვულკანის ძეთ“ სამშობლო და
ტაძარია სოციალიზმი!..

—

აჰა!.. დამწვით თუნდ კოცონზე,
ჯვარზე მაცვით, ინეტარეთ!..

რჩეულ შვილთა, ჯალათებო,
ულმობელათ სისხლი ღვარეთ!..

—

„მაინც ბრუნავს... ისევ ბრუნავს“!
გალილეი კვლავ აღსდგება,
და, ვინც სტანჯა შვილი ხალხის,
იმათი დღე დაბნელდება.

—

ქუჩის შვილი ქუჩით ვპოვებ
მომავალში მოსვენებას!..
ქედს არ ვიხრი... ფეხქვეშ ვთელავ
მტარვალებს და იმათ მცნებას!!.

ცალ-ხელი.

მ უ შ ა თ ა ა ნ ბ ა ნ ი.

(თარგმანი)

გაკვეთილი I.

შრომა და მისი ღირებულება

1.—ვინა ხარ შენ?
პასუხი.—მე მუშა ვარ.
2.—ვისთვის მუშაობ?
3.—მე ვმუშაობ ჩემი ხაზეინისთვის.

რულ მასსასთან უფრო და უფრო მტკიცდებოდა; სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება სისწრაფით იწყებს მუშებში გავრცელებას, და ასეთივე სისწრაფით ძირი ეთხრება ზუბატოვის გავლენას. ოქტომბრის დღეებში, როცა ყველა ლეგალური და არა-ლეგალური კავშირები თავისუფლების სხივებზე გადადიოდენ და მოითხოვდენ მათ საზოგადოებრივ ძალათ ჩარიცხვას, ზუბატოვებს აღარავითარი ძალა არ აღმოაჩნდათ. საცოდავი ნაშთები ძველი დიდებისა—აქა-იქ გაბნეული უმნიშვნელო ჯგუფები ზუბატოვცებისა ყველგან მუშათა მასსაში ზიზღს პოულობდენ, არავინ მათ ახლო არ იკარებდა.

1902 წ. სექტემბერში სოც.-დემ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოხდა ტიპოგრაფიის მუშების გაფიცვა, რომელიც მუშების გამარჯვებით გათავდა. გაფიცვის შედეგი არადეგალური პროფესიონალური კავშირის დაარსება იყო. მაგრამ ამ კავშირში სულ 400 წევრი იყო; ის, რასაკვირველია, ვერ დაკმაყოფილებდა მთელი ტიპოგრაფიის 10.000 ან მასსას; ტიპოგრაფიის მუშათა კავშირმა სოციალდემოკრატიული პროგრამა მიიღო და უკანასკნელ დრომდე სოც.-დემ. ორგანიზაციის ავტონომიურ ნაწილათ ითვლებოდა.

პროფესიანალურ მოძრაობას გაცოცხლება 1905 წლიდან დაეტყო. პეტერბურგის ცხრა იანვრის შემდეგ ძველმა ლეგალურმა საზოგადოებებმაც კი უფრო ენერგიულათ დაიწყეს მოქმედება. გაზაფხულზე აღმოცენდა ორი პროფესიონალური კავშირის რაღაც მსგავსი,—ერთი ნოქრებში, მეორე „მებულკეებში“. ნოქრებმა მოითხოვეს სავაჭროების ადრე დაკეტვა და კვირაობით დასვენება. ამ მოთხოვნილებისთვის ბრძოლაში თანდათან პოპულიარული შეიქნა კავშირის დაარსების აზრი. ამ გარემოებით ისარგებლა სოც. დემ. ორგანიზაციამ და მისი თაოსნობით, მართლაც, დაარსებულ იქნა ნოქრების პატარა კავშირი. იმავე ხანებში მებულკეების გაფიცვა მოხდა და, გაფიცვის შემდეგ, სოც.-დემ. ორგანიზაციისავე ხელმძღვანელობით დაარსებულ იქნა პატარა, მაგრამ ძალიან ენერგიული კავშირი.

მაგრამ, პროფესიონალური კავშირების დაარსება ფართო ხასიათს იღებს ენკენისთვიდან, როცა მესტამბეთა საერთო გაფიცვა მოხდა. იმავე დროს მოხდა სტალერების გაფიცვაც. ამ ორივე პროფესიაში დაარსდა პროფესიონალური კავშირები. ამათ მაგალითს სხვებმა მიჰბაძეს და მას შემდეგ პროფ. კავშირები სოკოსავით მრავლდებიან. საყურადღებოა შემდეგი შემჩნევა: რაც უფრო წვრილი და ჩამორჩენილი იყო რომელიმე პროფესია, მით უფრო მეტი ხალისით ჰკიდებდენ პროფესიონალურ საქმეს ხელს. დაარსების მეთოდი თითქმის ყველგან ერთი და იგივე იყო: ყოველ სახელოსნოდან ან ფაბრიკა ზავოდიდან ამოირჩევდენ დეპუტატებს, დეპუტატები ერთად მოიყრიდენ თავს, თანდათან ეს დეპუტატთა კრებები მუდმივ დაწესებულებათ გადაიქცეოდა და აქედან იწყებოდა პროფესიონალური მუშაობა და მისი გაფართოება. იმ პროფესიებში, რომლის მუშებიც თითო-თითოთ იყვენ მთელ ქალაქში დაფანტულნი, პროფესიონალური კავშირის შენებას იწყებდა რამდენიმე კაცისაგან შემდგარი „ინიციატორი ჯგუფები“, რომელიც მოაგვარებდა-რა საქმეს, გამოიმუშავებდა წესდებას, იშოვიდა ხელმძღვანელებს და სხვა;—შემდეგ მოიწვევდენ საერთო დამფუძნებელ კრებას, რომელიც დაამტკიცებდა წესდებას, ამოირჩევდა თანამდებობის პირთ და სხვ., ამგვარათ, იწყებდა მოქმედებას ახალი პროფესიონალური კავშირი, ნელ-ნელა პროფესიონალურმა კავშირებმა მოიპოვეს გავლენა მუშათა მასსაზე და მის ცხოვრებაზე. პირველსავე ფეხის ადგმაზე, მათ დიდი ბრძოლა დასჭირდათ თავის არსებობის უფლებისათვის არამც თუ პოლიციასთან, არამედ ხაზეინებთანაც. ხაზეინებს არასგზით არ უნდოდათ მუშებისთვის „დეპუტატის უფლება“ მიეცათ. მაგრამ დაუდგრომელი ბრძოლით მუშებმა ეს უფლება მოიპოვეს.

24 ენკენისთვეს 1905 წ. მოსკოვში თავი მოიყარეს სხვადა-სხვა პროფესიონალურ კავშირების და საზოგადოებების წარმომადგენლებმა და გამაერთიანებელ ორგანიზაციის დაარსებაზე მოილაპარაკეს. აქედან წარმოსდგა „მოსკოვის მუშათა

---

3. — რას ნიშნავს სიტყვა ხაზეინი?

3.—ხაზეინი ნიშნავს მამას.

4.—ხაზეინი ისე გეპყრობა შენ, როგორც მამა?

3.—არა, იმიტომ რომ მამა ყოველთვის ზრუნავს თავის შვილებისთვის; ის მათ ყოველთვის ეხმარება და ცდილობს, რომ მათ მოუპოვოს უზრუნველი ცხოვრება.

5.—მაშ რატომ შენც ისე არ გექცევა, როგორც მამა?

3.—იმიტომ, რომ ის მე მიყურებს, როგორც მონას.

6.— რას ნიშნავს მონა?

3.—ალფრედ დე-ფიუსო თავის ,,სახალხო კატეხიზმში'' ამბობს, რომ მუშა ეს ისეთი არსებაა, რომელმაც მხოლოდ ის მოვალეობა იცის, რომ იმუშაოს და იტანჯოს სხვისთვის.

7.—ამიხსენი ერთი, რას ნიშნავს შენი სიტყვები?

3. — მე ვმუშაობ დილიდან საღამომდე, ხან თითქმის მთელ ღამესაც, ქარხნებში, მაღაროებში...

მე იქ ვამზადებ საქონელს, რომლის მომეტებული ნაწილი ხაზეინის სასარგებლოთ მიდის; მე ვიტანჯები იმიტომ, რომ ის ნაწილი, რომელსაც მე მარგუნებენ ჩემი ნამუშევარიდან, ძლივს გვყოფნის მე და ჩემ ცოლ-შვილს.

8.—რა გაიძულებს, რომ სხვისთვის მუშაობ?

3.—ის, რომ მე ვარ მუშა, პროლეტარი; მე არ მაქვს ყოველივე ის, რითაც შეიძლება დამოუკიდებელი გახდეს ადამიანი.

9.—რას ნიშნავს შენი სიტყვები?

3.—ჩემი სიტყვები ნიშნავს შემდეგს: რადგანაც მე არ მაქვს ფული, ქარხანა, სამუშაო იარაღები და სხვა საშუალებანი, რაც აუცილებელია ადამიანის დამოუკიდებლობისათვის, ამიტომ იძულებული ვარ დავემორჩილო მას, ვისაც ყოველივე ესენი აქვს.

10.—მაშ, დღეს შენ მონობაში ყოფილხარ?

3.—დიახ, მონობაში ვიმყოფები, და ეს გაგრძელდება იქამდე, სანამ საზოგადოების უმრავლესობისაგან შექმნილი სიმდიდრე საზოგადოების უმცირესობის ფუფუნებას ემსახურება.

11.—მაშ რა გინდა შენ?

3.—მე მინდა, რომ სიმდიდრე ყველას ბედნიერებას ემსახურებოდეს, გარდა ზარმაცებისა.

12.—ახლა, ამ წუთს რაღა გინდა?

3.—მე მინდა, რომ სამუშაო დრო არ იყოს გადამეტებული, და აგრეთვე ჩვენი შრომაც ფასდებოდეს რიგიანათ.

13.—განა ბელგიაში შრომა გადამეტებული და მავნებელია?

3.—ყველამ იცის, რომ 600 ათას სამრეწველო მუშათაგან 320 ათასი მუშა ათ-ნახევარ, თერთმეტ და ხშირათ მეტ საათსაც მუშაობს დღეში.

14.—კარგა ფასდება მათი შრომა?

პროფესიონალურ კავშირების რწმუნებულთა ბიურო“. ამ დაწესებულებამ დიდი ძალით წასწია წინ პროფესიონალური ორგანიზაციები. ოქტომბრის გაფიცვამდის პროფესიონალური ორგანიზაციის შტოები თითქმის ყველა პროფესიისკენ იყო გაყვანილი.

ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ და მისმა გამარჯვებამ კიდევ უფრო განაცხოველა პროფესიონალური მოძრაობა; —ეს იყო მისი ოქროს ხანა. 19 ოქტომბერს კონსერვატორიის შენობაში მოხდა მესტამბეების მიტინგი; ამ დღიდან მოყოლებული ფართო პროფესიონალური აგიტაცია,—მიტინგები, ეკონომიურ მოთხოვნილებათა შემუშავება, ზოგან მათი რევოლიუციონურის გზით განხორციელება, ზოგან მათ გასახორციელებლათ გაფიცვები, ფურცლებისა და სხვა პროფესიონალურ ლიტერატურის გამოცემა შეუჩერებლათ წინ მიდიოდა. ახალგაზდა კავშირებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ძველი ტიპის პროფესიონალურ კავშირებს. ამის საყურადღებო მაგალითს წარმოადგენს ბრძოლა ახალგაზდა მესტამბეების კავშირისა ძველ ტიპოგრაფების „კასასთან“, რომელზედაც ამ წერილის თავში გვქონდა ლაპარაკი. ამ ბრძოლამ თითონ „კასაშიაც“ შეატანა და იქ აღმოცენდა „მემარცხნეთა პარტია“, რომელიც მუშებისაგან შესდგებოდა და მოითხოვდა არა-მუშების გაძევებას, და „კონსერვატიული პარტია“, რომლის სათავეშიაც დღესაცა დგას ხაზეინების ერთგული ადვოკატი ბრატანოვსკი და, რომლის ხელშიაც არის ჯერჯერობით გამარჯვება. ასეთივე ბრძოლა სწარმოებდა, მაგალითად, მთელი რუსეთის რკინის გზის კავშირის მოსკოვის განყოფილებაში, რომელშიაც მუშა-ხელოსნები და ინტელიგენტი-მოსამსახურეები ერთად იყვენ არეული, და ინტელიგენტები ყველაფერს თავის ნება-სურვილზე სწყვეტდენ. მუშებში ამან უკმაყოფილება დაბადა,—მათი მეცადინეობით ამ კავშირიდან გამოეყო მოსკოვის გაფიცვის კომიტეტი, რომელიც მუშებისაგან უნდა შემდგარიყო; მაგრამ, ბოლოს ეს კომიტეტიც ინტელიგენტებით აივსო და იმაზედაც მუშებს გული აუცრუვდათ. მოსკოვ-ბრესტის რკინის გზის სახელოსნოების მუშებმა მიმართეს სხვა გზების მუშებს და წინადადება მისცეს—ცალკე პროფესიონალური კავშირი დაეარსებიათ. მუშებმა, მართლაც, ხალისით მოჰკიდეს ხელი ამ წინადადების განხორციელებას, მაგრამ, დეკემბრის გაფიცვამ და დამარცხებამ საქმე აღარ დაამთავრებინათ... კავშირები, რასაკვირველია, ვიწრო პროფესიონალიზმს არ გაუტაცნიათ და მაშინდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელს—მუშათა დეპუტატების საბჭოს—ენერგიულ დახმარებას უწევდენ. თვით ამ საბჭოს დაარსების იდეა პროფესიონალურ კავშირების მუშათა მასსაში დაიბადა. ყველაზე უფრო მხნე დახმარება რევოლიუციას გაუწიეს მესტამბეებმა, რომლებიც ბეჭდვის თავისუფლებას იცავდენ: ბეჭდავდენ რევოლიუციონური გზით, ბოიკოტს უცხადებდენ იმ მწერლებსა და რედაქტორებს, რომლებსაც ცენზურასთან დამოკიდებულება არ შეეწყვიტათ და სხვ. მესტამბეთა გარდა მუშათა დეპუტატების საბჭოს ეხმარებოდენ ლითონის მუშები, რომლებიც აუარებელ ცივ იარაღს აკეთებდენ და წითელ რაზმებს აიარაღებდენ.

რაც დრო გადიოდა, მუშები მეტსა და მეტს პატივისცემასა და შიშსა გრძნობდენ კავშირებისადმი. რამდენიმე პროფესიაში ხაზეინებმა წინადადება მისცეს კავშირებს, რამდენიმე ვადით ტარიფის შემოღებაზე. მაგრამ, მუშებში ამ წინადადებას შესამჩნევი თანაგრძნობა არ მოუპოვებია. ამას, რა თქმა უნდა, მაშინ თავისი მიზეზები ჰქონდა. რევოლიუციას წინ ფართოგ ზა ეხატებოდა, ყოველი დღე პროლეტარიატს რომელიმე გამარჯვებას ანიჭებდა და მუშებს საზარალოთ მიაჩნდათ მერმისში რაიმე პირობით ახალი გამარჯვების მოპოვების თავისუფლება შეეზღუდათ.

დეკემბრის დამარცხება აქაც მოულოდნელათ დაატყდა პროფესიონალურ კავშირებს. მსხვერპლი, რა თქმა უნდა, მოსკოვში უარესი იყო და პროფესიონალურ კავშირებზეც გამანადგურებლათ იმოქმედა.

ბოიკოტის ხანამ ისევ გააცხოველა და ისევ ფეხზე დაა-

3.—როგორც ანგარიშობენ, 200 ათასი მუშა დღეში 3 ფრანკზე ნაკლებს იღებს (1 მან. 15 კაპ.).

გაკვეთილი II.

სხვა ქვეყნის მუშები.

1.—იცი შენ ისეთი ქვეყნები, სადაც მუშები უფრო კარგად ცხოვრობენ, ვიდრე ბელგიაში?

3.—ვიცი, მაგალითად, ინგლისში, საფრანგეთში, დანიაში, გერმანიაში და, განსაკუთრებით, ამერიკაში.

2.—შენ როგორ გესმის სიტყვა—კარგი ცხოვრება?

3.—შედარებით რომ ვთქვათ, მოკლე სამუშაო დღე, კარგი ხელფასი და ადამიანური მოპყრობა.

3.—მიჩვენე რამდენიმე მაგალითი?

3.—ბელგიაში, მაგალითად, მხატვრები იღებენ 30 სანტიმს (11 კაპ.) საათში, გერმანიაში—60 სანტ. (22 კაპ.), საფრანგეთში—65 სანტ., ინგლისში—90 სანტ. და ამერიკაში—1 ფრანკსა და 75 სანტ. (65 კაპ.).

მეორე მაგალითი: ბელგიელი ქვის მთლელები იღებენ 40 სანტ. (15 კაპ.) საათში, გერმანიაში და საფრანგეთში—65, ინგლისში—1 ფრ. 10 სან. (41 კაპ.) და ამერიკაში 2 ფრ. 70 სანტ. (1 მანეთი).

სპილენძის მაღაროებში მომუშავენი ინგლისში შედარებით უფრო ბევრს იღებენ, ვიდრე ბელგიაში, მაგალითი: მაღაროებში მომუშავენი იღებენ 9 ფრანკს (9 მან. 33 კაპ.).

ვაგონების დამტვირთველნი „ $6^1/_2$ „

ბავშვები, რომელთაც ცხენები დაჰყავთ—$2^1/_2$ ფრანკს და ამ ფულს იღებენ ისინი ცხრა საათის და უფრო ნაკლებ სამუშაო დღეში, რომელშიაც შედის ჩასვლა და ამოსვლა მაღაროებში.

4.—იქნება იმ ქვეყნებში უფრო ძვირია ცხოვრება?

3.—რასაკვირველია, ცოტა ძვირია, მაგრამ, რადგანაც სამუშაო ქირა უფრო მეტია, ამიტომაც იქაური მუშები შედარებით უფრო კარგა იკვებებიან და იცვამენ, და მათი სადგომებიც შედარებით უფრო მოწყობილია, ვიდრე ჩვენი; ამას გარდა, მათ ბევრი თავისუფალი დრო რჩებათ, რომელსაც სწავლა-განვითარებას ანდომებენ.

5.—როგორცა სჩანს, იქაური ხაზეინები უფრო პატიოსნები ყოფილან?

3.—სრულიადაც არა! განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იქაურმა ხაზეინებმა შეიგნეს, რომ მაძღარი და შესვენებული მუშა უფრო მომეტებულ საქონელს დაამზადებს.

6.—მაშ როგორ უყურებენ ამას ჩვენი ხაზეინები?

3.—ისინი ამბობენ: ჩვენ უნდა ვაიძულოთ მუშები, რომ მათ მეტი იმუშაონ ნაკლებ ხელფასშიო.

ყენა პროფესიონალური მოძრაობა. სახელმწიფო სათათბიროს გახსნამ კიდევ უფრო ფართოთ გასწია მისი სარბიელი. ამავე დროს მთავრობაც არ ასვენებდა კავშირებს და ყოველგვარათ ცდილობდა მათ შევიწროებას. 4 მარტის კანონით, თვითმპყრობელობამ კიდევა სცადა პროლეტარიატისათვის კავშირთა უფლება წაერთმია; მაგრამ მოსტყუვდა ანგარიშში და პროლეტარიატმა მოსკოვშიაც ისე, როგორც სხვაგან, მოახერხა ამ კანონის პირიქით თავის სასარგებლოთ გამოყენება. დღესაც მოსკოვის პროფესიონალური კავშირები მედგრათ განაგრძობენ გონივრულათ დაწყებულ საქმეს. მტკიცდება მასსასთან კავშირი, იზრდება წევრთა რიცხვი და ამასთან კავშირები ისევ შორსა დგანან ვიწრო პროფესიონალიზმისაგან. დღეს სახელმწიფო დუმის საარჩევნო აგიტაციაში პარტიასთან ერთად კავშირებიც მხნე მონაწილეობას იღებენ.

შიო.

კვირიდან კვირამდე.

— **სიკვდილით დასჯა**. 18 ნოემბრიდან 24-მდე სიკვდილით დაუსჯიათ სულ 19 კაცი. სულ სამხედრო-საველე სასამართლოს შემოღებიდან 24 ნოემბრამდე 484 კაცი. სამხედრო-საველე სასამართლოში მიუციათ 18—24 ნოემბრამდე 20 კაცი, მარტო თბილისში 15 კაცი.

— **მთავრობის ოინბაზობა**.—ამ დღეებში საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხო ქვეყნების ელჩებისათვის წარუდგენია განცხადება, სადაც ჩვენი მთავრობა დიდის რიხით აცხადებს, რომ რუსეთის რევოლიუცია ფეხქვეშ გავსრისეთო, „კრამოლა“ ძირიან-ფესვიანათ მოვსპეთო. ამ ხრიკისთვის იმიტომ მიუმართავს მთავრობას, რომ თურმე, ნუ იტყვით, ხაზინაში თაგვებს დაუწყიათ ხრიგინი, ფულები შემოკლებიათ ბატონებს... რევოლიუციას რომ კისერი მოუგრიხა რუსეთის მთავრობამ, ამას ყველა დაუჯერებს, მარა უცხოელ ბანკირებმა თუ კიდევ ასესხა ფულები—ეს-კი დაუჯერებელი იქნება!

— **დამშეულების მაგიერ მთავრობა გაკოტრებულ ბანკირებს ეხმარება**. წელს მოუსავლობის გამო რამდენიმე გუბერნია დაიმშა. მთავრობა ვითომ დაფაცურდა და მოინდომა დამშეულების დახმარება. დახმარების მოწესრიგება მიანდვეს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგ გურკოს. მან ხელაო ამოქექა არხივიდან ძველი ნაცნობი ვიღაც ლიდვალი და დაავალა პურის მიტანა დამშეულ გუბერნიებში. ლიდვალმა წინდაწინ რვაასი ათასი მანეთი ითხოვა უარს აბა ვინ ეტყოდა. ხელათ მისცეს ეს ფული; ლიდვალმაც გაიკრა თავის უძირო ჯიბისაკენ და არხეინათ გაუდგა თავის გზას. გავიდა ხანი და ქვეყანამ გაიგო, რომ ლიდვალმა ფულები ჩაჯიბა და დაპირება არ აასრულა. ატყდა ერთი განგაში უმაღლეს წრეებში. გამოირკვა, რომ ეს ლიდვალი უბრალო ვინმე, „კლოზეტ ბის“ მკეთებელი ყოფილა. ამ რამდენიმე წლის წინათ მას მიანდვეს თურმე სასახლის „კლოზეტების“ გაკეთება. ამ საქმისთვის გადადებული იყო თურმე **თექვსმეტი ათასი მანეთი**, ლიდვალმა ითხოვა ოთხმოცი ათასი და არ აწყენინეს,—მისცეს. აქედან იწყება მისი ნაცნობობა უმაღლეს პირებთან.

მთავარ დამნაშავეთ მინისტრის ამხანაგ გურკოს ასახელებენ. უმაღლეს წრეებში ძალიან დაინტერესებული არიან ამ ამბით. სტოლიპინი აბჯარს ისხამს გურკოს წინააღმდეგ. დიდებულნი დიდის ინტერესით ელიან, აბა ვინ დამარცხდებაო.

რით გათავდება ეს „საჯაყი“ საქმე—არავინ იცის. მოინდომეს, ვითომ გურკოს დათხოვნა, მარა, როცა ეს შავრაზმელებმა გაიგეს, განაცხადეს. „თუ გურკო დაითხოვეთ, ყველას ამოგხოცავთო“ (გურკო მათი ლიდერია).

ამ გვარათ, აქ დიდებულნი ასეთ ამბავში არიან,—რვაას ათას მანეთს ვიღაც ოხერ „კლოზეტჩიკს“ უყრიან ჯიბეში, იქ კი, სადღაც, მიყრუებულ გუბერნიებში მშრომელ ხალხს შიმშილით სული ძვრება. შიმშილით სიკვდილიდან რომ თავი დაიხსნან, გლეხებს საშინელ საშუალებისათვის მიუმართავთ: შვილებს ყიდიან თურმე. ასეთი მაგალითი ყოფილა ყაზანის გუბერნიაში. იქ რამდენიმე ქალიშვილი გაუყიდიათ. თითო ქალიშვილი 100—150 მანეთათ ფასობს. ქვის გული უნდა

თუ მუშები წელში გაწყდებიან მეტი შრომით, მით უარესი მათთვის; იმათ ალაგას ბევრი სხვა აღმოჩნდებაო...

7.—განა ეს აზრი სამართლიანია?

პ.—რასაკვირველია, არა! მაგრამ რას იზამთ: ისინი ბატონები არიან და ჩვენ-კი მათი ყმები.

8.—შენ, როგორც გეტყობა, დამორჩილებულხარ შენს ბედს?

პ.—ოჰ, არა! თავის დღეშიაც არა!

9.—უბედურო, განა შენ მარტო რა შეგიძლია?

პ.—დიახ, მარტო მე არა შემიძლია რა, მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ მოახლოვდა დრო, როცა შეუერთდება ყველა ჩემს ამხანაგს და მათთან ერთათ ავლაგმავთ ჩვენს ბატონებს.

ჩვენ შევადგენთ ერთად უძლიერეს პროფესიონალურ კავშირებს, ასოციაციებს, საზოგადოებებს და მით დავეხმარებით ერთმანეთს.

გაკვეთილი Ш.

ალფრედ დე-ფიუსოს განცხადებანი.

1.—რაგვარი დადგენილებანი წამოაყენა დე-ფიუსომ თავის „სახალხო კატეხიზმში?“

პ.—სხვათა შორის იმან სთქვა:

„ვერ გახდები დეპუტატად, თუ არ გაუმასპინძლდები ამომრჩეველს სადილებითა დი სიგარებით.

„ვერ გახდები ამომრჩევლად, თუ არ გადაიხდი 42—32 ფრანკს (15 მან. 65 კ.) სახელმწიფო გადასახადს.

„უნდა წახვიდე ჯარის კაცად, თუ არ გაქვს 1,600 ფრანკი (600 მან.), რომ მისცე შენს მოადგილეს“.

2.—თანახმაა ამგვარი დადგენილებების მუშათა პარტია?

პ.—ჰო, სრულიად თანახმაა, ამას ამტკიცებს მისი პროგრამა.

3.—როგორი ცვლილება მოხდა ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში, დე-ფიუსოს სიკვდილის შემდეგ?

პ.—სხვა-და-სხვა პირების პროპაგანდის მეოხებით მუშები ენერგიულად ცდილობდენ მოეპოვათ მოქალაქობრივი თავისუფლება, ე. ი. საყოველთაო ამორჩევის უფლება, და 1893 წელს მოიპოვეს უფლება 1831 წლის კონსტიტუციის შეცვლისა.

4.—მუშები რომ არ შეერთებულიყვენ ამ მიზნისათვის, მიაღწევდენ ყველა ამას?

პ.—რასაკვირველია, ვერა! იმიტომ, რომ, როცა მუშები განცალკევებულად მოქმედებენ, ისინი მუდამ უძლურნი არიან.

5.—მოიპოვა კი ხალხმა საყოველთაო ამორჩევის უფლება?

პ.—არა, მან მიიღო მხოლოდ მისი საბრალო მსგავსება.

6.—ეგ რას ნიშნავს?

პ.—ეს იმას ნიშნავს, რომ იმის მაგივრად, რომ სუყველანი გაეხადნათ თანასწორ უფლებიან მოქალაქეებად, მდიდ-

ქონდეს ადამიანს, რომ გაუძლოს ყურებას, როცა დედები ეთ ხოვებიან თურმე გაყიდულ ქალებს, როცა კარგათ იციან, რა ბოლო მოელის მათ.

— **შავრაზმელები და გრაფი ვიტე.** 12 ნოემბერს მოსკოვში კრება გაუმართავთ „ჭეშმარიტ რუსებს"; თავმჯდომარეთ ყოფილა კისლოვსკი. შესანიშნავი სიტყვა წარმოუთქვამს შავრაზმელ ექიმ დუბროვინს: „ინგლისი—დაიწყო—დიდებულმა ორატორმა—„ჟიდების" (ურიების) ქვეყანაა. რუსეთის არეულობაში „ანგლიჩანკაა" დამნაშავე. გრაფი ვიტე ინგლის-„ჟიდების" აგენტია. ინგლისმა წააქეზა იაპონია, ეომა რუსეთთან და, როცა დაინახა, რომ ფონს ვერ გავიდა, ვიტესთან ერთათ მიუსია რუსეთს ს.-დემოკრატები და რევოლიუციონერები" და სხ. სიტყვის გათავების შემდეგ, „დიდებულმა" ორატორმა წინადადება მისცა კრებას,—მოსთხოვონ ხელმწიფეს ვიტეს რუსეთიდან განდევნა. კრებამ დიდის სიხარულით მიიღო ეს და დაავალა დუბროვინს დეპეშის შედგენა.

ბოლოს ატყდა ერთი ჟღავ-ჟღავი, მეორეთ მოსვლა ეგონებოდა კაცს. ზოგი ყვიროდა ვიგალობოთო, ზოგი—„ძირს ვიტეო" და სხვა. იგალობეს „ღმერთო, ფარვიდე მეფესა".. შემდეგ წარსდგა ლიცეის ერთი სტუდენტი, მიართვა ადრესი დუბროვინს და მოახსენა, რომ ლიცეის სტუდენტობა მზათ არის გაყვეს თავის დიდებულ მასწავლებელს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოსო. დუბროვინს ცრემლები მოერია თურმე. საწყალი!..

— **მ. იოანე ვოსტორგოვი შავრაზმელების „კამანდირათ".**—მიტროპოლიტ ანტონის ლოცვა-კურთხევით „რუსთა კავშირის" მთავარ სამართველოს წევრებმა—თ. შახოვსკომ და დუბროვინმა გამგეობის თავმჯდომარეთ აირჩიეს თურმე იოანე ვოსტორგოვი. ეს ის ვოსტორგოვია, რომელმაც დიდი სახელი გაითქვა კავკასიაში საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალყურეთ ყოფნის დროს. ბოლოს კი მოუნახავს შესაფერი ალაგი!

— **მთავრობის მოღვაწეობა.**—გასულ წელს, 17 ოქტომბრის მანიფესტთან ერთათ მთავრობამ პაგრომების მანიფესტიც გამოსცა. ეს ხანა შესანიშნავია პაგრომებით რუსეთის ცხოვრებაში. სულ, 1905 წლის 17 ოქტომბრიდან 1906 წლის 17 ოქტომბრამდე მთავრობას გაუნადგურებია ოცდა-თვრამეტი ათას ოცდა ხუთი ებრაელის ოჯახი. ზარალი მიუყენებია ორმოცდა თორმეტ მილიონ ას ცხრამეტი-ათას შვიდას სამ მანეთამდე. მოუკლავთ ცხრაას ოთხმოცდა ხუთი კაცი, დაუსახიჩრებიათ,—ათას ოთხას ორმოცდა ორი კაცი, დაუჭრიათ ათი-ათასი. ქვრივად დარჩენილა სამას ოთხმოცი, ობლათ სამას ოცდა რვა.

— **„პატრიოტების" დეპეშა.** ამ დღეებში ქალაქ ტულის პატრიოტებს დეპეშა გაუგზავნიათ ხელმწიფისათვის და სთხოვენ,—მიიღეთ ზომები მინისტრების წინააღმდეგ, რომ არამც და არამც არ გაბედონ ებრაელების უფლებრივი გათანასწორებაო. ჩვენ შეგვპირდენ, მარა მოგვატყუესო, სწერენ დეპეშაში.

გლეხები და სახელმწიფო დუმა. ვოლოგდის გუბერნიის გლეხები დიდის ინტერესით უყურებენ თურმე მეორე დუმას. „თუმცა დუმიდან არაფერი სიკეთე არ გამოვა, მარა იქ წასვლა მაინც უსათუოდ საჭიროა; საჭიროა იმიტომ, რომ შემდეგში გლეხებს არავითარი იმედი არა ჰქონდეს მთავრობის და დუმის. ერთხელ კიდევ შევლანძღავთ ბატონ მინისტრებს და შემდეგ შეიძლება „დუმაზე" უფრო კარგი რამ გამოვიგონოთო", — ასე ამბობენ თურმე გლეხები.

— უკანასკნელ ხანებში საზღვარზე მოდარაჯე ჯარიდან 102 სალდათი გაქცეულა საღზვარ-გარეთ.

— ამ დღეებში მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განიხილავენ საკითხს—მისცენ, თუარა ნება არა-ლეგალურ პირტიებს არჩევნების წინ კრებები გამართონ. სხდომას დაესწრებიან ბალტიის მხრისა, კავკასიის და სხვა საგენერალ-გუბერნატოროს მთავრობის წარმომადგენლები.

— **მასსიური გადასახლება.** როგორც გაზეთები გვატყობინებენ ამ უკანასკნელ ხანებში ისპანიიდან აუარებელი ხალხი მიდის თურმე ამერიკისკენ. ზოგან მთელი სოფლები აიყარა და გადასახლდა. ერთ ქალაქ ბეხარში, სადაც ოცი ათასი მცხოვრები იყო, სულ ცხრა ათასი დარჩენილა, დანარჩენები

რებს მისცეს სამ-სამი ხმა და ღარიბებს კი მხოლოდ თითო. ამის წყალობით ბდიდრებს მუდამ მეტი ხმა ხვდებათ, ვიდრე მუშებს.

7.—ამ გვარ პირობებში მუშები როგორ უნდა მოიქცენ?

პ.—იგინი უფრო მძლავრად უნდა შეკავშირდენ და განაგრძონ ბრძოლა იმ დრომდე, ვიდრე არ მოიპოვებენ საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ ამორჩევის უფლებას ყველასათვის, ვინც კი 21 წლისაა.

8.—რათ მოგყავს შენ უეჭველად 21 წელი?

პ.—იმიტომ, რომ ამ წლებში ყველა ბელგიელ მოქალაქეს აქვს მინიჭებული ყოველგვარი სამოქალაქო უფლებანი, როგორც, მაგალითად, ჯვრისწერა, ჯარის-კაცობის უფლება; მაშასადამე მათ შეგნებულათ შეუძლიათ მისცენ ხმა ამა თუ იმ დეპუტატს.

9.—შეიცვალა რამე ღარიბ ჯარის-კაცების წაყვანით მდიდრების მაგიერ?

პ.—არა, მდიდრების შვილებს შეუძლიათ გადაიხადონ 600 მანეთი და მით აიცდინონ თავიდან სამხედრო სამსახური; ისინი ყიდულობენ ხალხს ისევე, როგორც ყასაბი ყიდულობს საქონელს.

10.—მიუხედავად ამისა, მდიდრებს მაინც უყვართ თავისი სამშობლო?

პ.—ჰო, მათ უყვართ ის იმ სარგებლობის მიხედვით, რომელსაც ისინი ამოიტანენ სამშობლოდან—და არა იმ მოვალეობისათვის, რომელსაც სამშობლო აკისრებს მათ.

11.—მაშ რაღა შეცვლილა ბელგიაში ამ ოცი წლის განმავლობაში?

პ.—მუშათათვის ძალიან მცირე რამ, ყველა ცვლილებანი მოხდა მხოლოდ მდიდართა სასარგებლოდ.

მაგალითად: ჟანდარმების ხარჯი გაადიდეს 8 მილიონ 720 ათას ფრანკამდე (3 მილიონი 300 ათასი მანეთი), მაშინ, როდესაც 1885 წელს ეს ხარჯი ეთანასწორებოდა მხოლოდ 3 მილ. 400 ათას ფრანკს (1 მილ. 258 მან.).

მართლაც და ხომ საჭიროა იყოლიონ მომეტებული ჟანდარმები მუშების დასამშვიდებლათ, როდესაც ისინი მედგრად ითხოვენ სამუშაო ქირის მომატებას, სამუშაო დროს შემოკლებას, განათლების საქმის კარგად მოწყობას მათის შვილებისათვის; ბაჟების მოსპობას სურსათზე და მოხუც მუშათათვის ხეირიან პენსიას.

12.—მაშ რა გაუკეთებია ამ მდიდართა სახელმწიფო მართველობას?

გადასახლებულან. დარჩენილებიდან ეხლა შვიდასი ოჯახი კიდევ აპირებს თურმე გადასახლებას. მიზეზი უმუშევრობაა, მსხვილი წარმოებით წვრილის განდევნით გამოწვეული. ისპანიის მთავრობა ძალიან დააფიქრა ამ გარემოებამ და ამ დღეებში განიხილავენ ამ საკითხს... როგორც სჩანს, მუშა ხალხი ყველგან გაჭირვებული ყოფილა და ყველგან ერთნაირად იყვლიფება.

მუშათა მოძრაობა და პროფესიონალური კავშირები.

თბილისი.

ორიოდე სიტყვა თბილისის ნოქართა პროფესიონალურ კავშირზე.

თბილისის ნოქართა პროფესიონალური კავშირი გუშინ, გუშინ-წინ არ გაჩენილა, მასაც აქვს თავისი ისტორია, როგორც სხვა ყოველივე მოვლენას, და ეს ისტორია ჩაქსოვილია ნოქართა ეკონომიური ბრძოლის წარსულში.

ჯერ კიდევ ამ ორი-სამი წლის წინეთ არსებობდა თბილისში ნოქართა „ცეხის“ პარტიული ორგანიზაცია. ეს ის ჩანასახი იყო, რომელიც შემდეგ პროფესიონალურ ორგანიზაციათ უნდა გადაქცეულიყო. მაგრამ თაობითვე ეტყობოდა, რომ „ცეხის“ პარტიული ორგანიზაცია მეტის-მეტი ვიწრო იყო და, მაშასადამე, ვერ გასწვდებოდა ნოქართა ფართე პროფესიონალურ მოთხოვნილებებს. ოქტომბრის დღეებმა ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ გაფართოებულ მოძრაობას „ცეხის“ პარტიული ორგანიზაცია ვერ დაკმაყოფილებს. აქედან იწყება აგიტაცია პროფესიონალური კავშირის სასარგებლოთ. დაბოლოს, ივნისის შესანიშნავმა გაფიცვამ (1906 წ.), რომელმაც ათიათასამდე ნოქარი ჩაითრია მოძრაობის ტალღებში, ფაქტიურათ დაანგრია „ცეხის“ პარტიული ორგანიზაცია და, სამაგიეროთ, ფაქტიურათვე ააშენა ახალი უპარტიო ორგანიზაცია „გაფიცვის ბიუროთი“ სათავეში. მართალია, ეს ორგანიზაცია დროებითი იყო, მაგრამ ცხადია აგრეთვე ისიც, რომ სწორეთ ამ ორგანიზაციამ ჩაყარა პირველი საძირკველი უპარტიო პროფესიონალური კავშირისათვის. აქედან იწყება ნამდვილი პროფესიონალური კავშირის აშენება. მიუხედავათ რეაქციის დევნისა, მიუხედავათ ხაზეინების ხრიკებისა, საქმეებმაც თავისი გაიტანა, და თვენახევრის წინეთ მოხდა პირველი საერთო კრება ნოქართა დელეგატებისა (20 კაცზე ერთი დელეგატი). ამ კრებამ აირჩია წესდების კომისია და დაავალა მას წესდების პროექტის შედგენასთან ერთად დროებით სხვა ყოველ დღიურ საქმეებსაც გასძღოლოდა. ამას წინათ უკვე მეორე კრება მოხდა ნოქართა დელეგატებისა. ამ კრებამ დაამტკიცა პროექტი, წესდებათ გადააქცია ის, და დაადგინა შემდეგ კრებაზე ბიუროს ამოერჩია. ჯერჯერობით კავშირში ოთხასამდე წევრი შედის, მაგრამ როგორც, ამბობენ, ჩქარა ათასამდე აიწევს. აი ეს წესდებაც.

თბილისის ნოქართა პროფეს. კავშირის წესდება.

I. კავშირის მიზანი.

თბილისის ნოქართა პროფესიონალური კავშირის მიზანია: 1) ბრძოლა ნოქართა ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და 2) მათი კლასიური თვითშეგნების განვითარება. ამ მიზნის მისახწევათ კავშირი 1) მოაწყობს გაფიცვებს, 2) მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენს გაფიცულებს, 3) სამუშაოს მოუძებნის უმუშევრებს, 4) დახმარებას აღმოუჩენს კავშირის წევრებს და მათ ოჯახებს უმუშევრობის, დატუსაღების ან ხანგრძლივი ავათმყოფობის დროს და აგრეთვე ერთდროულ დახმარებას მიაწოდებს გარდაცვლილ ამხანაგთა ოჯახებს, 5) მოაწყობს იურიდიულ და მედიცინურ დახმარებას (ადვოკატის და ექიმის შოვნა) თავის წევრებისათვის, 6) მოაწყობს ლექციებსა და რეფერატებს, 7) გამოსცემს ლიტერატურას და სხვა.

II. კავშირის მოთხოვნები.

ბრძოლის დროს კავშირი ეცდება მოიპოვოს:

1) რვა საათის სამუშავო დღე;

3.—მან მოუმატა გადასახადები პირველ მოთხოვნილებათა საგნებს; მან აიშენა ციხე-პალატები და დახურა სასწავლებლები; ფართო გზა დაუთმო ბერებსა და მონაზვნებს და აკრძალა შემოტანა სახელმწიფოში იმგვარი საქონლისა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ხალხისათვის.

13.—კიდევ რამდენ ხანს გასტანს ამგვარი მდგომარეობა?

3.—იმ დრომდე, სანამ ყველა მუშები, განურჩევლად საარწმუნოებისა და რწმენისა, არ დაიწყებენ ენერგიულ ბრძოლას უსამართლო წეს-წყობილების წინააღმდეგ, სანამ არ მოახდენენ ისინი სოციალისტურ რევოლიუციას, სანამ არ გაჰფანტავენ ექსპლოატატორთა ბრბოს და ხელში არ ჩაიგდებენ ქვეყნის სიმდიდრეს.

გაკვეთილი IV.

სოციალური კანონები.

1.—განა მუშათა სასარგებლოთ ჯერ არავითარი კანონები არ გამოუციათ?

3.—როგორ არა, მაგრამ ბევრი ნაკლულევანება აქვს ამ კანონებს.

2.—მაგალითად, რანაირი კანონებია გამოცემული?

3.—1.) დაქირავების კანონი, რომლის ძალითაც მუშა და ქარხნის პატრონი ერთსა და იმავე პირობებში არიან ჩაყენებული; მაგრამ სისხლის სამართლის კანონში დარჩა ძალაში 310 პარაგრაფი, რომელიც ამბობს: ყველა, ვინც დაარღვევს პირობას, დასჯილ იქნება; ამის და მიხედვით კაპიტალისტებს თავისუფლად შეუძლიათ ქირის შემცირება, მუშების დათხოვნა და ქარხანა-ზავოდების დაკეტვა.

2.) კანონი ხელფასის შესახებ, მაგრამ ის ნებას აძლევს ხაზეინებს აძლიონ იმდენი ხელფასი, რამდენსაც თვით მოისურვებენ.

3.) კანონი ქარხნის წესდებებზე, მაგრამ ის აძლევს ნებას აწერონ შტრაფები.

4.) კანონი საქარხნო ინსპექციის შესახებ, რომლის ძალითაც ნიშნავენ ინსპექტორებათ იმგვარ კაცებს, რომლებიც არც მრეწველობას იცნობენ და არც მუშათა მდგომარეობას.

5.) მშვენიერი კანონია ქალებისა და ბავშვების შრომის შესახებ, თუმცა არავითარი კანონი არ უკრძალავს მექარხნეთ ამუშაონ მამაკაცები 11 და 12 საათი დღეში.

6.) კანონი უბედურ შემთხვევებით დაშავებულ მუშათა დამკმაყოფილებელი, და ამავე დროს-კი არ სუფევს მუშათა დაზღვევა.

7.) კანონი მუშათა პროფესიონალურ კავშირების შესახებ, რომლის ძალითაც თვით კავშირებს მხოლოდ მთავრობა რთავს ნებას თავის ნება-ყოფლობით.

3.—რაგვარის პირობებით ხდება კავშირების ნება-რთვა?

2) უფლება პირველ მაისობის დღესასწაულობისა;

3) ყოველ კვირეული დასვენება არა ნაკლებ 42 საათისა;

4) წელიწადში ერთხელ ერთ-თვიანი „ოტპუსკი“ ჯამაგირის შენახვით;

5) სრული მოსპობა ზედმეტი სამუშაოსი;

6) შინ მუშაობის აკრძალვა:

7) ხაზეინებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ იმისთანა რამეები დასაქმონ ნოქრებს, რასაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ნოქრის ხელობასთან;

8) აკრძალვა ბავშვების მიღებისა 14 წლამდე;

9) ხელფასის მომატება;

10) ხელფასის აწევა ქალებისთვის იმ ზომამდე, რომ კაცების ხელფასს გაუსწორდეს;

11) ხელფასის მინიმუმის განსაზღვრა, თანახმათ საერთო, ან დელეგატების კრების გადაწყვეტილებისა;

12) ხაზეინებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება თავისთან აცხოვრონ და ასადილონ ნოქრები; ხაზეინები ვალდებულნი უნდა იყვენ ოთახის და სადილის ფული მისცენ ნოქრებს, თანახმათ დელეგატების კრების გადაწყვეტილებისა;

13) მოსპობა პროცენტობით დასაჩუქრებისა და შესაფერისი მომატება ჯამაგირისა;

14) აეკრძალოს ხაზეინებს ნოქრების დათხოვნა, ან მიღება კავშირის ბიუროსთან შეუთანხმებლათ;

15) თუ ვაჭრობის შემცირების, ან ლიკვიდაციის გამო აუცილებელი იქნება ნოქრის გაშვება, ამისთანა შემთხვევაში მიეცეს დათხოვილ ნოქარს, კავშირის ბიუროსთან შეთანხმებით, არა ნაკლებ სამი თვის ჯამაგირისა;

16) სრული ჯამაგირი ავადმყოფ ნოქრისთვის სამი თვის განმავლობაში და ნახევარი ჯამაგირი დანარჩენ სამ თვეს ადგილის შენახვით ექვსი თვის განმავლობაში;

17) სახელმწიფო დაზღვევა ხაზეინების ხარჯზე სიკვდილის, სიბერის და დაუძლურების დროს;

18) ხაზეინების პასუხისგება კანონის წინაშე, თუ ისინი შრომის დაცვის კანონებს დაარღვევენ;

19 მუშაობიდან განთავისუფლება ორსული ქალების ერთი თვით მშობიარობამდე და ექვსი კვირით მშობიარობის შემდეგ;

20) შრომის სანიტარული პირობების გაუმჯობესება და ზედამხედველობის მოწყობა კავშირის წარმომადგენელთა მონაწილეობით;

21) ნოქრებისაგან ამორჩეულთა პიროვნების ხელშეუხებლობა;

ხაზეინებთან ბრძოლის გასაძლიერებლათ და კავშირის გასამაგრებლათ კავშირი ეცდება მოიპოვოს სრული თავისუფლება: გაფიცვისა, კავშირისა, სიტყვისა, კრებისა, ბეჭდვისა, ხელშეუხებლობა პიროვნებისა და სადგომის და სხვა.

III კავშირის შედგენილობა.

1) კავშირის წევრათ ითვლება ყველა, ვინც მის წესდებას მიიღებს, განურჩევლათ პოლიტიკური და რელიგიოზური რწმუნებისა, განურჩევლათ ეროვნებისა, სქესისა და ხნოვანებისა;

შენიშვნა. ის „ნოქარი“, რომელიც ნახევრათ მესაკუთრეა (ან სრული მესაკუთრე) ამა თუ იმ სავაჭრო დაწესებულებისა, ან რომელიც ადმინისტრატიულ როლს ასრულებს ამ დაწესებულებებში, არ მიიღება კავშირის წევრათ.

2) ახალი წევრის მისაღებათ საჭიროა კავშირის ორი წევრის რეკომენდაცია, რომელსაც შემდეგ ამტკიცებს დელეგატების კრება;

3) წევრები კავშირში შესვლის დროს იხდიან 2 პროცენტს ერთდროულათ და პროცენტ-ნახევარს ყოველ თვეში თავის თვიური ჯამაგირიდან;

4) ვინც სამი თვის განმავლობაში ზედიზედ არ შემოიტანს კასაში ფულს, ის კავშირიდან გასულათ ითვლება, რის გამოც შესაფერ დადგენილებას ახდენს დელეგატების კრება;

შენიშვნა. ავათმყოფობის, უადგილობის და სხვა შესაწ-

3.—იმ პირობებით, რომ თვით წესდება და წევრთა საველები უნდა გადაეცეს მთავრობას.

4.—რისთვისაა საჭირო ამგვარი ზომები?

3.—იმისთვის, რომ უფრო კარგად ადევნოს თვალ-ყური მუშებს, რომ იმათგან შექმნას მონები, რომელნიც უნდა დაექვემდებარონ მექარხნეებს. ეს კანონი წარმოადგენს თილისმის ჯოხს, ანუ მართალი რომ ვთქვაო, მოუხეშავ ხაფანგს.

5.—მაშ ყველა ეს არის რაც გაკეთებულა მუშათათვის?

3.—არა, მე დამავიწყდა განთქმული ჯანონი მუშათა ჰენსიების შესახებ, რომელიც თავისთავად წარმოადგენს უმნიშვნელო და სამარცხვინო მოწყალებას, —18 სანტიმს (6 კაპ.) უნიშნავს დღეში მოხუც მუშებს. ამავე დროს-კი კანონი უმაღლეს მოხელეთათვის ანაწილებს ათასობით ფრანკს, ასაჩუქრებს გენერლებს, არქიელებს და ათას სხვა ბატონებს.

გაკვეთილი V.

მუშათა უფლებანი.

1.—განა მუშებს არა აქვთ უფლებანი?

3.—რასაკვირველია, აქვთ. მათ შეუძლიათ თავისუფლად მოვიდენ და წავიდენ; ჭამონ და სვან ის, რასაც თვითონ მოისურვებენ; ჩაიცვან თავიანთ გემოვნებაზე; იცხოვრონ, სადაც მოისურვებენ; და ეს „უფლებები“ ხელუხლებელნი არიან კონსტიტუციის ძალით.

2.—მაშ ამ შემთხვევაში ხომ მნიშვნელობას კარგავს? შენი წინანდელი საყვედური?

3.—სრულიადაც არა,—მათ ეს უფლებები მხოლოდ ქაღალდზე აქვთ:

ყოველ მუშას შეუძლია წავიდეს პარიჟში, ლონდონში, პეკინში, თუ-კი ამისათვის ექნება ფული.

მათ შეუძლიათ მიირთვან გემრიელი პური, ხორცი, ქადები და სვან ღვინო, თუ-კი ამისათვის ექნებათ ფული.

მათ შეუძლიათ ჩაიცვან ბატონებსავით, დაიხურონ ცილინდრი, პალტო, და ძვირფასი ხელთათმანები, თუ-კი ამისათვის ექნებათ ფული.

მათ შეუძლიათ იცხოვრონ ციხე-დარბაზებში თუ ექნებათ ამისთანა რამე. ერთის სიტყვით, მათ შეუძლიათ იცხოვრონ ისევე, როგორც მდიდრებს, მაგრამ როგორც ვიცით, უფლებასა და განხორციელებას შუა დიდი უფსკრული ძევს.

3.—მათ აქვთ კიდევ სხვა რამ უფლებანი?

3.—აქვთ, მაგალითად, შევიდენ საავათმყოფოებში, როდესაც უზომო შრომით დაუძლურდებიან; შევიდენ საქველმოქმედო საზოგადოებებში,—როდესაც ისინი სხედან ულუკმაპუროდ; სამადლო სახლებში, როდესაც სახლის პატრონი გა-

ყნარებელ მიზეზების გამო წევრები თავისუფლდებიან საწევრო ფულის გადახდისაგან, თანახმათ დელეგატების კრების დადგენილებისა;

5) კავშირიდან გასული ხელახლა შეიძლება ჩაეწეროს კავშირში, თუ სავსებით გადაიხდის გამორჩენილ თვეების ფულს;

6) წესდების აშკარა დარღვევისათვის, კავშირის დაზარალებისათვის და, საერთოთ, ისეთ ყოფაქცევისათვის, რომელიც საძრახისათ ითვლება კავშირის შეხედულებით, წევრი ირიცხება კავშირიდან თანახმათ დელეგატების კრების დადგენილებისა;

შენიშვნა. იმ წევრებს, რომლებიც თითონ გავიდენ, ან ამხანაგებმა გარიცხეს კავშირიდან, უფლება არა აქვთ უკან მოითხოვონ „თავისი“ ფული.

7) კავშირის თვითოეულ წევრს უფლება აქვს გადამჭრელი ხმისა, ირჩევს კავშირის დაწესებულებათა წევრებს და შეუძლია არჩეულ იქნეს ამ დაწესებულებებში;

შენიშვნა. ჩვიდმეტი წლისაზე უმცროსებს უფლება არა აქვთ არჩეულ იქნენ.

8) კავშირის ყველა წევრი ვალდებულია გააღვიძოს და გაავითაროს ამხანაგებში სოლიდარობისა და კლასთა ბრძოლის აზრები.

IV. კავშირის საშუალებანი.

კავშირის შემოსავალი შესდგება:

1) ერთდროული საწევრო გადასახადიდან კავშირში შესვლის დროს;

2) ყოველთვიური საწევრო ფულიდან;

3) სხვა-და-სხვა საქმეების შემოსავლიდან;

4) შემოწირულებიდან;

შენიშვნა. შემოწირულება მიიღება კავშირის სრულ განკარგულებაში, უნდა განსაზღვრული მიზნისათვის, რა თქმა უნდა, თუ ეს მიზანი არ ეწინააღმდეგება კავშირის წესდებას;

5) კავშირის შემოსავალი იყოფა ორ ნაწილათ გაფიცვის თანხათ და ყოველდღიურ საჭიროებათა თანხათ; გაფიცვის თანხისათვის ინახება 50 პროცენტი;

6) გაფიცვის თანხა იხარჯება გაფიცვებზე და მასსიური უმუშაერობის დროს, თანახმათ საერთო, ან დელეგატების კრების დადგენილებისა; ყოველდღიურ საჭიროებათა თანხა იხარჯება ბიუროს გადაწყვეტილებით თანახმათ დელეგატების კრების საერთო დირექტივებისა.

V. კავშირის მართვა-გამგეობა.

1) კავშირის საქმეებს განაგებს საერთო კრება, დელეგატების კრება და ბიურო;

2) საერთო კრება სწყვეტს ყველა დიდ საქმეებს, მაგალითათ, ნოქრების საერთო გაფიცვას, წესდების შეცვლას და სხვა;

3) ყოველი 20 წევრი ირჩევს 1 დელეგატს; ყველა დელეგატები ერთათ შეადგენენ დელეგატების კრებას;

4) დელეგატების კრებას გაჰყავს ცხოვრებაში საერთო კრების გადაწყვეტილებანი (მაგალითათ, საერთო გაფიცვა და სხვა), სწყვეტს კონფლიქტს ხაზეინებსა და ნოქრებს შორის, გამოაქვს რეზოლიუციები წევრების მიღებაზე თუ გამორიცხვაზე, ხელმძღვანელობს და თვალყურს ადევნებს ბიუროს მოქმედებას, ამტკიცებს ბიუროს მოქმედებას, ამტკიცებს ბიუროს ხარჯების აღრიცხვას და სხვა; წინდაწინ არჩევს იმ კითხვებს, რომლებიც შემდეგ საერთო კრებას უნდა გადასცეს;

5) დელეგატების კრება მართავს თავის სხდომებს თვეში ორჯერ მაინც;

შენიშვნა. არა ჩვეულებრივ კრებას იწვევს ბიურო კავშირის წევრების ერთი-მეათედის წერილობითი მოთხოვნით, დელეგატებს კრების $^1/_3$ მოთხოვნი, ან და თავისი საკუთარი გადაწყვეტილებით;

6) დელეგატების კრება კანონიერია, თუ წევრების $^2/_3$ დაესწრება; თუ პირველი კრება ვერ შესდგა საკმაო წევრების მოუსვლელობის გამო, კრება უნდა გადაიდოს და მაშინ მეორე კანონიერათ ითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს;

მოყრის მათ ქუჩაში; ან და როდესაც მთლად მოხუცდებიან და დაუძლურდებიან.

4.—რას იტყვი შენ საავათმყოფოების შესახებ?

პ.—ეს საზოგადო დაწესებულება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დღევანდელ პირობებში, თუ-კი ის რიგიანათაა მოწყობილი, ე. ი. თუ იქ მოწვეულნი არიან მცოდნე ექიმები და მოსამსახურენი (ქალები და კაცები), რომელნიც მზრუნველობით უნდა ეპყრობოდენ ავათმყოფებს და განსაკუთრებით-კი ღარიბებს.

5.—შენ რას ფიქრობ საქველმოქმედო საზოგადოებებზე?

პ.—ეს ის ადგილია, სადაც მუშები კარგავენ თავიანთ ღირსებას და თავმოყვარეობას.

6.—მაშ რა გსურს შენ?

პ.—მე მინდა, რომ საქველმოქმედო საზოგადოებათა მაგიერ შემოღებულ იქმნეს სახელმწიფო დაზღვევა უმუშევრობიდან, იმიტომ რომ უმუშევრობა ანარქიულ მდგომარეობაში აყენებს საზოგადოებას; და, რადგანაც თვითონ შრომა თავისთავად წყაროა მთელი საზოგადოების სიმდიდრისა და კეთილდღეობისა, ამიტომაც საჭიროა მოვითხოვოთ, რომ მუშები, მშრომელები, არ იტანჯებოდენ სიმშილით.

7.—რა არის „ღარიბთა თავშესაფარი“?

პ.—ეს ის სახლია ღარიბ მუშათათვის, რომელსაც ინახავს მთავრობა თავის ხარჯით; თავმოსაყრელი ადგილია იმ ხალხისთვის, რომელიც დაუძლურებულა მუშაობით და არა აქვს ღონისძიება იხადოს ქირა ჯურღმულებსა და სარდაფებშიც-კი.

აქ ღარიბ და პატიოსან მუშებს სძინავთ ერთ ჭერ ქვეშ ქურდებთან, ავაზაკებთან და ლოთებთან,—საზოგადოების ნაძირალებთან.

8.—რას ეძახი შენ საზოგადოების ნაძირალებს?

პ.—იმ ხალხს, რომელნიც მემკვიდრეობით, თუ თავისი შეუგნებლობით დაქანებულან ერთხელ და სმაუდამოთ მოლიპულს გზაზედ.

9.—რატომ ყველა მოხუცებს არ ათავსებენ თავშესაფარებში?

პ.—უმნიშვნელო საქციელი, რომელსაც-კი მოჰყოლია რაიმე სასჯელი, თუნდაც სულ მცირე, უფლებას ართმევს მოხუცს თავშესაფარში ცხოვრებისას.

ეს საშინელი უსამართლობაა!

(შემდეგი იქნება).

7) დელეგატების კრება ირჩევა ექვსი თვის ვადით;

შენიშვნა. ამომრჩევლებს უფლება აქვთ, როცა უნდათ, უკან გაიწვიონ ამორჩეულები და ახალი აირჩიონ;

8) დელეგატების კრება ირჩევს თავის წრიდან ბიუროს არა ნაკლებ 9 კაცისა;

შენიშვნა. ბიუროს უფლება აქვს გარედან მოიწვიოს თავის სხდომებზე გამოსადეგი აბხანაგები სათათბირო ხმით;

9) ბიურო არის დელეგატების კრების აღმასრულებელი ორგანო, მას აქვს თავისი ბეჭედი, ინახავს საერთო კასას, იღებს და სწყვეტს საჩივრებს, ადგენს წევრების სიას და საერთოთ განაგებს კავშირის წვრილმან საქმეებს დელეგატების კრების ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე, რომელსაც უდგენს თავის მოქმედების დაწვრილებით ანგარიშს;

შენიშვნა. ბიუროში არჩეული დელეგატები თავისუფლდებიან დელეგატობისაგან, მათ მაგიერ სხვები უნდა იქნენ არჩეული.

10) კითხვები წყდება ხმის უბრალო უმეტესობით;

11) რევიზიისათვის დელეგატების კრება ირჩევს თავისა წრიდან, თვითოეულ შემთხვევისათვის ცალკე 3 კაცს, რომლებსაც სხვა თანამდებობა არ უნდა ჰქონდეთ კავშირში.

დელეგატების კრების მონდობილობით კო...

—

თბილისის საქონლის სადგურის მუშათა მდგომარეობა. დღევანდელ რევოლიუციის ხანას აურაცხელი მსხვერპლი ეწირება ჩვენი ამხანაგების საუკეთესო ნაწილისა, რომელთაც ხალხის მტრების ბოროტი ხელი ასალმებს წუთისოფელს!

ობსკურანტებს ჰგონიათ, რომ მონობის ხანაში დააბრუნებენ რუსეთის ხალხს! მაგრამ, მიუხედავათ მათი საშინელი მოქმედებისა, რუსეთის მუშები მაინც ბედნიერნი არიან იმით, რომ დღევანდელი მომენტის მეოხებით ისინი ჰქმნიან ბრწყინვალე მომავალს, როგორც რუსეთის, ეგრევე მსოფლიო მუშებისათვის—მთელი კაკობრიობისათვის.

მუშებისათვის ეს მომენტი უდიდესი შკოლაა, რომელმაც ფარდა ახადა ხალხის სისხლით გასუქებულ-გალეშილ ხალხის მტრების მოქმედებას და ცხადათ დაანახვა ყოველ მუშას მტრების ფიზიონომია.

თბილისის საქონლის საწყობის მუშებიც არ ჩამორჩენ სხვა ამხანაგებს. მათაც უპასუხეს ცხოვრებისაგან წამოყენებულ კითხვებს, რამდენათაც კი მოხერხდა დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში; მათაც გამოუცხადეს ბრძოლა თავიანთ მძარცველებს: წარუდგინეს მოთხოვნები ხაზეინებს და რამდენიმე უფლების მოპოებით ცოტათი მაინც გაიუმჯობესეს მდგომარეობა; მათ შეადგინეს პროფესიონალური კავშირი: შეიმუშავეს წესდება, გააწყვეს კასა, აირჩიეს ბიურო და დაიწყეს მოქმედება. ასე ამ გვარად, მათი ცხოვრება თითქოს ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ, ჩვენი „მზრუნველი“ ადმინისტრაცია არავის არ ივიწყებს. ჩვენს მუშებსაც გამოუქროლა მან შეარდენივით, ოცამდე კაცი წარიტაცა, რომელნიც, რამდენიმე კვირის ციხეში ჯდომის შემდეგ, სამშობლოდან განდევნილ იქმნენ. ერთი-კი ისევ ციხეშია და, ამბობენ, 20 ნოემბერს გზავნიანო, არ ვიცით სადა! მიზეზი გაძევებისა არავინ იცის, თუმცა მუშები ფიქრობენ „რიადჩიკ“ აკ—ის მიერ მოხერხებული საქმე უნდა იყოსო. ხსენებულ „რიადჩიკს“ იჯარის პირობის ვადა უთავდებოდა და მუშებს მიმართა შემდეგი წინადადებით: „თუ მომცემთ უფლებას, რომ მუშების მიღებ-დათხოვნა ჩემი საქმე იყოს, ავიღებ სტანციას,—თუ არა და „ხულიგანი“ „პოდრიადჩიკები“ იღებენო და სხვა“. ბ-ნ აკ—მა ამ წინადადებაზე სასტიკი უარი მიიღო მუშებისაგან, რადგანაც უკანასკნელთ კარგათ ესმოდათ, რომ ამ უფლებით „რიადჩიკი“ ისარგებლებდა: ყველა შეგნებულ მუშებს დაითხოვდა და მათ-მაგიერ დაიჭერდა ისეთ შეუგნებელ მუშებს, როგორებიც ბაქოს სადგურში ჰყავს, რომელთაც თვეში ჯამაგირებს 14—15 მანეთს აძლევს და 15 საათს-კი ამუშავებს დღე-და-ღამეში. ამას გარდა კიდევ ასეთი წინადადება მისცა მუშებს ბ-ნმა აკ—მა: „შემეკარით პირობით, რომ ერთის წლის განმავლობაში არც გაიფიცოთ, არც ჯამაგირის მომატება ითხოვოთ, არც ქურდობა მოხდეს და მაშინ ავიღებ სადგურსო“. რა თქმა უნდა ამაზედაც კატეგორიული უარი მიიღო მუშებისაგან.

სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება.

წარსულ თვეებში ქურდებმა ვაგონები გაძარცვეს; მუშებმა სამ მუშაზე იჭვი მიიტანეს და დაითხოვეს კიდეც. ეს გარემოება ხელზე დაიხვია „რიადჩიკმა“ და იწყო „პროვოკატორული“ აზრის გავრცელება მუშებში: „აქ სულ ოგინია ქურდები, ვისაც შეგნებულათ მოაქვს თავიო, ვინც ბევრს ლაპარაკობს პატიოსნებაზე და სხვა“... ამით უნდოდა გამდიდრების გრძნობით გაჟღენთილს მსუნაგ აკ—ს მუშების ერთი ნაწილი აემხედრებია უფრო მოწინავე ელემენტების წინააღმდეგ... მაგრამ, მიზანს ვერ მიაღწია, მისდა საუბედუროთ... ამ ბოლო დროს სულ უარი სთქვა „რიადჩიკმა“ სადგურის აღებაზე. მისი აზრით, თუ სხვა „რიადჩიკი“ აიღებს, მუშების საქმე ცუდათ წავა. მაგრამ მუშებისათვის სულ ერთია, ვინც უნდა იყვეს „ექსპლოატატორი“. ის დრო განჰქრა, როცა მუშები ხაზეინებს „მამაშვილურის“ თვალით უყურებდენ.*) ახლა მუშებში ის აზრი ტრიალებს, რომ აკ—ს უნდა ამგვარი „ხრიკი“ იხმაროს:

სადგური დროებით უნდა დაარჩინოს რკინის გზ. „უპრავლენიეს“, (რადგანაც „ტორგში“ კონკურენტი არავინ აღმოუჩნდა „ბედნიერ“ „სპეკულიანტს“);—უპრავლენიე-კი, როგორც ძლიერი „ხაზეინი“, მუშებს დაამარცხებს ამნაირათ: საგრძნობლათ შეამცირებს მათ „შტატს“, უფრო მოწინავე ელემენტების დათხოვნით, მოუკლებს ჯამაგირებს და ერთი, ან ორი თვის შემდეგ ისევ ის ჩვენი ვაჟბატონი „რიადჩიკი“ ჩაიგდებს ხელში გაკეთებულ საქმეს!.. მაგრამ, ამ განზრახვის შესრულება კაი გაკადნიერება იქნება ბ. აკ—ის მხრივ!.. აი, ასე გამოაქანდაკა დღევანდელმა მომენტმა ის—„მუშების თანამგრძნობი ლიბერალი“, რომელსაც აქამდე მუშებში ნდობა ჰქონდა მოპოებული.

შრომიშვილი.

—

ძვირფას თვლების მთლელ (Ювелиръ) მუშათა პროფესიონალური კავშირი. ბოლოს ძვირფას ქვების მთლელმა მუშებმაც შეიგნეს, რომ ხაზეინები ნებით მათ არაფერს დოუთმობდენ და ამისთვის ბრძოლა იყო საჭირო, ბრძოლისათვის კიდევ შეერთებული ძალა. ამ შეგნებას მოჰყვა მათში კავშირის დაარსება. კავშირი დაარსდა ამ 1906) წლის სექტემბერში. ჯერჯერობით კავშირი 50 წევრისაგან შესდგება. აირჩიეს ათი კაცისაგან ხელმძღვანელი ბიურო, რომელმაც თავიანთ შორის

*) რაღაც ნაირათ თვით ,,რიადჩიკმა'' აღმოაჩინა ქურდების ჯგუფი, სრულიად სადგურის მუშების გარეშე, რომელთაც 8 სადგურის ,,პლომბების'' საკეთებელი მაშინა დაუპირა.

აირჩია ოთხი კაცი აღმასრულებელ ბიუროში აღმასრულებელ ბიუროდან ერთი ცენტრალურ საბჭოში შედის. კასაში 40 მ., წესდება შემუშავებულია, მარა ჯერ არ დაუბეჭდიათ. მიუხედავათ იმისა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც კავშირი დაარსდა, ამ უკანასკნელ ხანებში, თავის ბიუროს ხელმძღვანელობით მოხდა გაფიცვა, რომელიც გამარჯვებით გათავდა.—მოიგეს რვა საათის სამუშაო დღე, ჯამაგირების მომატება, ზედმეტი მუშაობის გაუქმება, ავათმყოფობის დროს ადგილის შენახვით სამი თვის ჯამაგირის მიცემა, წელიწადში ერთი თვის დასვენება, ჯამაგირისა და ადგილის შენახვით და სხვა. შეგირდების შესახებ დაადგინეს: ოთხი წლის დრო, ხაზეინებს ნება არ აქვთ აიღონ ფასი სწავლებაში და დააკისრონ შაგირდებს შინამოსამსახურეობა ანუ რაც ხელობას არ ეკუთვნის. იმსახელოსნოებში სადაც ზემოხსენებული დადგენილება არ არის ძალაში შესული, ახლო მომავალში წარუდგენენ მოთხოვნებს

კავშირის აღმასრულებელი ბიურო.

—

უცნაური ხაზეინი. ყველა ჯურის ხაზეინი გაგვიგონია და ისეთი უცნაური ხაზეინი, როგორიც საკანდიტეროს პატრონი ბ. სალაყაია ყოფილა, სადმე მთვარეზე თუ არსებობდა, თორემ ამ ქვეყნათ ჯერ არ გვსმენია. ყველა ხაზეინები, რომ მუშების მტერია და მათი მყვლეფელი—ეს ყველა მუშამიცის. მარა, ბ. სალაყაია ამას არ სჯერდება თურმე. მას დაუთხოვია ერთი თავისი მოსამსახურე, მერე იცით რისთვის?.. მუშას ცოლი შეურთავს. სალაყაიას ეს არ მოსწონებია და დაუთხოვია. ალბათ, იმიტომ, რომ იუკადრისა,—რატომ მე არ მკითხაო! დიდება შენ, უფალო! რას არ მოესწრება ადამიანი?! ხაზეინისგან არაფერი არ გაგვიკვირდება, მარა გასაკვირი ის არის, რომ მის ამნაირ მოქმედებაზე დანარჩენი მოსამსახურეები პროტესტის მაგიერ ტაშს უკრავდენ თურმე. ცხადია, მათ გონება დაბნელებული ქონიათ და ვერ მიმხვდარან, რომ, თუ ხაზეინმა დღეს ერთ მათ ამხანაგს მოექცა ასე უსინდისოთ, ხვალ მათ გამოისვრის ქუჩაში, — და, აბა, მაშინ ნახონ ტაშის დაკვრა — როგორია!!.

ეორეი.

—

თბილისის მკერვალთა გაფიცვა გრძელდება! აგერ ორი თვე სრულდება, რაც გაფიცული ვართ—მკერვალები. გაფიცვა შესანიშნავად, მწყობრათ და სოლიდარულათ მიდის: გაფიცულები იჩენენ შეგნებას და მხნეობას. რასაკვირველია, ამ გაფიცვას ხელმძღვანელობს ჯერ ნორჩი, ახლად შემდგარი მკერვალთა პროფესიონალური კავშირი. გაფიცვა დაიწყო პირველად ქალთა ტანისამოსის სახელოსნოებში. უმრავლესობა სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდა. მოთხოვნები რამდენიმე მუხლს შეიცავდა, მაგალითად, ნაშრომით მუშაობის მოსპობას და თვიური ჯამაგირის დანიშვნას, 8 საათის სამუშაო დროს შემოღებას. შემდეგ გაფიცვა დაიწყო მამაკაცთა ტანისამოსის მკერვალთა შორის. ჩვენი გაუმაძღარი ხაზეინები ძლიერ დაფრთხენ, შეფაცურდენ, აქეთ ეცენ იქეთ ეცენ,—ასე გეგონებოდათ, ქალაქს წალეკვას უქადიანო. მერე შეიკრიბენ და დააარსეს ,,ხაზეინების კავშირი'', რომელმაც დაადგინა — გაიფიცნენ თითონ ხაზეინები,! სანამ ყველა მომუშავეები არ დაჯდებიან სამუშაოდ, რასაკვირველია, ძველ პირობებში; სუყველამ დავკეტოთ სახელოსნოები და არა გაფიცულებიც გავრეკოთ გარეთ. ასეთი პირობა დადეს და თან დაადგინეს— ღარიბ ხაზეინებს კვირაში მდიდრებმა ვაძლიოთ ათი, ან ხუთმეტი თუმანიო. მაშინ ყველა თანახმა გახდენ და ხელიც მოაწერეს პირობას. აი, ამ პირობით შედგა ,,სვავთა კავშირი'' და კიდეც გამოაცხადეს პირველ ამ თვეს გაფიცვა. ერთი კვირა გავიდა, პატარა სვავებმა დიდ სვავებისაგან ვერაფერი მიიღეს და დარჩენ ხახა-გამშრალი... მათაც გახსნეს სახელოსნო და მიიწვიეს თავის მუშები და გაცდენილი დღეების ხელფასი მისცეს. ბრძოლის ველზე მარტოთ დარჩენილი მდიდრები ძალიან ჯიუტობენ. ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ გასტეხონ გაფიცულები და მათი მოთხოვნები გააბათილონ. პოლიციასაც მიმართეს, რამდენიმე ამხანაგი დააჭერინეს კიდეც და მეტეხში ამოაყოფინეს თავი. ეს იმ მიზნით, რომ ვითომდა დანარჩენი მოიხრიან ქედს და დაიწყებენ მუშაობასო. მაგრამ, მოსტყუვდენ ჩვენი სვავები!.. მუშები კიდევ უფრო ენერგიულათ განაგრძობენ გაფიცვას...

ჩვენ ციხის არ გვეშინია. ჩვენ, ბ-ნო ხაზეინებო, თქვენი დამქაშების მათრახებიც გვიცდია, ციმბირიც, შიმშილიც, სიკვდილიც. დეე, ახლა ვიტანჯოთ ამ დიდსა და დიდებულ რევოლიუციის დროს, დროებითი ჩვენი ბრძოლა მიზანს მიაღწევს, ნაყოფსაც მოიტანს. გეყოთ, რაც ამდენ-ხანს გვაძვრეთ ტყავი, გეყოთ ჩვენი ოფლით და სისხლით მონაგარ ოქროების ფლანგვა კლუბებში, ,,ბელვიუს'' და სხვა მაგგვარ ბაღებში, კარტის თამაშში და სხვა ათასგვარ გარყვნილობაში (დღეს, ხომ ხედავთ, არ ვცდებით, თავს არ ვატყუებთ, ფეხი არ გვიცურდება, მაგრათ გვიდგას, ჩვენ უკვე შეკავშირებული ძალით მოვითხოვთ ჩვენს სამართლიან შრომის ნაყოფს... ტყვილა იმედი ნუ გაქვთ ახლანდელი რეპრესიებისა... ეგ სამუდამოთ არ დარჩება. დადგება დრო და წამი,—დღევანდელი გველ-ბაყაყები ჩაძვრებიან თავიანთ სოროებში და... მაშინ თქვენ უნდა წარსდგეთ ჩვენს სამსჯავროს წინაშე და აგოთ პასუხი... მაშინ კიდევ უკეთ განვიხილავთ თქვენს დღევანდელ მოქმედებებს, მაშინ აგაკრავთ სამარცხვინო ბოძზე. მანამდის-კი ითარეშეთ მუშათა ზურგზე, ვინც ამის ნებას მოგცემთ თავის შეუგნებლობით.. ჩვენ-კი ვერ მოგცემთ, ვერა!.. ამხანაგო მუშებო! ნუ შედრკებით, განვაგრძოთ ჩვენი სამართლიანი გაფიცვა შეერთებულის ძალით, შეგნებულ ამხანაგების მეთაურობით მანამდე, სანამდის ჩვენი მოთხოვნილებანი სრულად და სავსებით არ იქნება დაკმაყოფილებული... ამასთან მოვითხოვოთ კიდევ დაჭერილ ამხანაგების განთავისუფლება... მაშ, წინ, მეგრათ, ამხანაგებო! განაგრძეთ გაფიცვა!.. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს გაფიცვას, გაუმარჯოს ჩვენს კავშირს, გაუმარჯოს ჩვენს ერთობას!..

ძირს ხაზეინები და მათი კავშირები!..

მკერვალი აღათიაშვილი.

რ უ ს ე თ ი.

—

უსაქმოთ დარჩენილი მუშები და მთავრობის საქმიანობა. 12 ნოემბერს, პეტერბურგში, იარაღში ჩამსხდარი პოლიცია მოემზადა უსაქმოთ დარჩენილ მუშათა სასადილოს (ალბათ სადილი თუ შეეხარბა)თავდასასხმელმთ,დიდი თათბირისა და მზადების შემდეგ, შეკრეს ის ქუჩა, სადაც სასადილოა გამართული და მოულოდნელათ შეცვივდენ შიგ: გაჩხრიკეს ი'აურობა, გადაწერეს ყველა იქ მყოფნი, წაიღეს იმათი სია, ვინც იქ სადილობდა, სასადილოს ანგარიში, და მუშებისთვის დასარიგებელი ძველი ტანისამოსი! სასადილო დაბეჭდეს! ასეთ ბარბაროსულ ზომებით, რი.ძლების წყალობითაც რამდენიმე ასი მუშ-

ქალაქში გამოყარეს მშიერ-მწყურვალი. პეტერბურგის პოლიციას, ალბათ, ის თუ უნდოდა დაემტკიცებია, რომ ის თავის საზიზღარი ზომებით ცდილობს არ ჩამორჩეს ქალაქის ხულიგანურ გამგეობას და მასთან ერთათ, ხელი-ხელ-ჩაკიდებული, იბრძოლებს უსაქმოთ დარჩენილ მუშების წინააღმდეგ!..

—

ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირების კონფერენცია. ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირების საორგანიზაციო ბიურო უკვე შეუდგა მომავალ კონფერენციის მოწვევას. ჯერჯერობით კონფერენციის შესახებ ეცნობა 30 კავშირს, ამათში არ შედის ციმბირის, კავკასიის, პოლონეთის და ლიტვის კავშირები, აგრეთვე ბალტიის-მხრის და ფილიანდიის. ამ დღეებში საორგანიზაციო ბიურომ დაუგზავნა ყველა კავშირებს შეკითხვის ფურცლები, რომელშიაც 34 კითხვაა მოქცეული. ამ კითხვებ შორის არის ერთი „რეპრესიების“ შესახებ.

—

მთავრობა მუშებს აფრთხობს. მომავალი დუმის არჩევნები ძილს უფრთხობს ჩვენს მთავრობას და ისიც ცდილობს სხვებსაც დაუფრთხოს ძილი, რომ შავრაზმელები გაიყვანოს დუმაში. ამ მხრით დიდ ენერგიას იჩენს მოსკოვის პოლიცია. იქ ფარფორის ქარხნის მუშებისთვის პოლიციას ხელწერილი მოუთხოვია, რომ არავითარ პარტიასა და კავშირებში არ მიიღებენ მონაწილეობას მუშები და არავითარ პროპაგანდა-აგიტაციას არ გასწევენ და, თუ ვინმეს შეამჩნიეს ასეთი ცოდვები, მთავრობას მისცემენ ხელში. წინაალმდეგ შემთხვევაში, „სულ ყველას დაგითხოვთო“,—ემუქრებიან. ამასთან მთავრობას თავის ხარჯზე გამოუწერია მუშებისთვის რეაქციონური გაზეთი „ზორკა“.

—

მუშათა მიტინგი ჰელსინგფორსში. 12 ნოემბერს, ჰელსინგფორსში, ადგილობრივ ფინელ მუშათა კავშირის მოწოდებით, რკინის გზის მოედანზე მუშებს დიდებული მიტინგი გაუმართავთ, ფინლიანდიის სენატისათვის პროტესტის გამოსაცხადებლათ. მიტინგზე მრავალი სიტყვები წარმოთქვეს სოც.-დემოკრატ. ორატორებმა, რის შემდეგაც წავიდენ სენატის მოედანზე. აქ მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც სასტიკ პროტესტს უცხადებენ სენატს, რუს რევოლიუციონერების გაცემის წინააღმდეგ.

—

მოსკოვის მუშათა პროფესიონალური კავშირები უმუშევართა საკითხის შესახებ. მოსკოვის კავშირების ცენტრალურ ბიუროს თავის ერთ სხდომაზე გადაუწყვეტია,—მიმართოს ყველა კავშირებს, – გამოარკვიონ საკითხი,—რა ზომები უნდა იქნას მიღებული უსაქმოთ დარჩენილ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ეს კითხვა განუხილავს ყველა კავშირებს და ის აზრი გამოუთქვამთ, რომ საჭიროა საზოგადო სამუშაოს მოწყობა. ამის გამო ცენტრალურ ბიუროს გადაუწყვეტია,—აირჩიოს კომისია ყველა კავშირების, სოციალისტურ პარტიების და ცენტრალურ ბიუროს წარმომადგენელთაგან და მიანდოს მას,—შეადგინოს გეგმა საზოგადო სამუშაოსი, ქალაქის გამგეობისთვის წარსადგენათ.

მოსკოვის აფთიაქის მიღაზიებსა და საწყობებში მოსამსახურეთა რეზოლიუცია უმუშევართა შესახებ.

„ვიღებთ-რა მხედველობაში, რომ, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური პირობები ამრავლებენ უსაქმოთ დარჩენილ მუშათა რიცხვს,—რომ პროფესიონალურ კავშირების ორგანიზაციას საშუალება არა აქვს,—მოსპოს უმუშეკრობის შედეგები,– მასთან, როცა ის მთელ თავის საშუალებას უმუშევრობის დახმარებას ანდომებს, მებრძოლ პროფესიონალურ ორგანოდან დამხმარებელ კასათ იქცევა, ამიტომ კრება საჭიროთ სცნობს,—მიმართონ ქალაქის გამგეობას და მოსთხოვონ მას პური და სამუშაო“.

—

„ჭეშმარიტი რუსი“ ხაზეინი. პეტერბურგში ამ დღეებში კეპკეს ქარხანაში ხაზეინს მიუმართავს მუშებისათვის და წინადადება მიუცია, რადგან მომავალი სახელმწიფო დუმის არჩევნები ახლოვდება, ამიტომ საჭიროა, რწმუნებულები ეხლავე აირჩიოთო. მუშათა უმრავლესობას უარი განუცხადებია, – ასე უცბათ ვერავის ვერ ავირჩევთ, ამისთვის საჭიროა ერთმანეთში მოვილაპარაკოთო და გავიდენ კრებიდან. დარჩენილმა უმცირესმა ნაწილმა, ხაზეინის წინადადებით, რწმუნებულათ დაასახელეა ერთი მუშა, რომელიც წინათ ჯენდარმთა სამმართველოში მსახურობდა. ეხლა მუშები ბეჯით აგიტაციას ეწევიან ხეზეინების კანდიდატის წინააღმდეგ.

—

უსაქმოთ დარჩენილთა შესახებ. პეტერბურგის ქალაქის საზოგადო სამუშაოთა მომწესრიგებელ კომისიის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტეს,—დააარსონ ერთი ცენტრალური ბიურო, შრომის ბირჟის მაგვარი, უსაქმოთ-დარჩენილთათვის სამუშაოს მოსაძებნათ, მხოლოდ იმ უფლებით, რომ რაიონულ განყოფილებების გახსნის ნება ქონდეთ. ჯერ რაიონულ ბიუროების გახსნა სასურველათ არ სცნეს. განიხილეს აგრეთვე საკითხი,—უკანასკნელ დროს უსაქმოთ-დარჩენილთა საბჭოს დეპუტატების დაჭერის შესახებ. კომისიამ დაადგინა: რადგან ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუშალოს უსაქმოთ-დარჩენილთა ორგანიზაციას, ამიტომ არავითარი ზომები არ მიიღონ? ქალაქის საზოგადო სახელოსნოების შესახებ საკითხი გადადვეს. ამ საკითხს ახლო მომავალში განიხილავენ, საფუძველათ დაედება უსაქმოთ-დარჩენილთა საბჭოს-მიერ მოწონებული პროექტი. ამ პროექტმა უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც ქალაქის ხმოსნების, ისე საფაბრიკო ინსპექციისაგან.

—

პროფესიონალური მოძრაობა და არჩევნები ქ. ეკატერინოსლავში. ოქტომბრის მოახლოვებამდე ქ. ეკატერინოსლავში მხოლოდ ორი საზოგადოება არსებობდა: ბეჭდვითი-საქმის მუშების და სავაჭროებში მოსამსახურეთა ურთიერთ-დამხმარე. დღეს-კი სულ ოცდა ოთხი კავშირია. მათი მოღვაწეობა გამოიხატება კრებების გამართვაში, გაფიცვების მოწყობაში, უსაქმოთ-დარჩენილ ამხანაგების დახმარებაში, სამკითხველოების, წიგნთ-საცავების და შრომის ბიუროს გამართვაში და სხვა. ასე, რომ თამამათ შეიძლება ითქვას, პროფესიონალური მოძრაობა ქ. ეკატერინოსლავში ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. უკანასკნელ ხანებში პროფესიონალური კავშირები ძალიან დაინტერესა მომავალ დუმის საარჩევნო კამპანიამ. ამ მოკლე ხანში მოხდა ყველა პროფესიონალუ კავშირების წარმომადგენლების თათბირი. ითათბირეს, განიხილეს მომავალ არჩევნებში მონაწილეობის საკითხი. დიდი კამათის შემდეგ გამოიტანეს ამგვარი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში,—1) რომ პროფესიონალური მოძრაობა საზოგადო მუშათა მოძრაობის ერთი ნაწილია, 2) რომ მუშათა პროფესიონალურ კავშირებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მიაღწიონ თავის მიზანს, როცა ისინი ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძვიან სოციალისტურ

პარტიებთან ერთად და ერთი-მეორეს ხელს უწყობენ სოციალიზმისათვის ბრძოლაში, 3) რომ ეხლა, როცა რუსეთში ლეგალურათ მოქმედი პარტიები არ არის, პროფესიონალურ კავშირებს შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ მუშათა კლასის პოლიტიკურ თავისუფლებისთვის ბრძოლაში და კერძოთ პროფესიონალურ კავშირების თავისუფლებისათვის, ურომლისოთაც შეუძლებელი იქნება ამ კავშირების მიზნის მიღწევა, 4) რომ საარჩევნო კომპანიას შეუძლია შეუკავშიროს ფართე მასსას ის ორგანიზაციები, რომლებიც მხარს დაუჭერენ მას საარჩევნო ბრძოლაში, 5) რომ მუშებისათვის სულ ერთი არ არის მომავალი დუმის შედგენილობა, რადგან რამდენიმე მაინც მისგან იქნება დამოკიდებული კავშირების შესახებ კითხვის ასე თუ ისე გადაწყვეტა.—ვიღებთ-რა ყველა ამას მხედველობაში, ქ. ეკატერინოსლავის მუშათა პროფესიონალურ კავშირების თათბირი მოუწოდებს ყველა თავის წევრებს,—მიიღონ ენერგიული მონაწილეობა არჩევნებში და ეცადონ დუმაში მუშათა კლასის ინტერესების დამცველი დეპუტატები გაიყვანონ".

კავშირებმა თავს იდვეს ენერგიული დახმარება გაუწიონ ქალაქის ნაწილების საარჩევნო კომისიებს.

—

მთავრობა მუშების მდგომარეობაზე ფიქრობს(?!) ჩვენი მთავრობა, რომ, დიდი ხანია, ფიქრობს მუშებზე და სხვადასხვა ზომებს ხმარობს მათ ასალაგმავათ—ეს ყველასათვის ცხადია. მარა, ეხლა მართლა საქმეს შესდგომია და უნდა მუშათა კანონების შემუშავება. თხუთმეტ ნოემბერს სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროსთან უკვე გაიხსნა თათბირი ამ კანონების შესამუშავებლათ. რა კანონებს შეიმუშავებს ჩვენი მთავრობა და მასთან ერთათ ჩვენი კაპიტალისტ-ხაზეინები, რომლების წარმომადგენლებიც დაესწრებიან თათბირს, და რამდენათ სასარგებლო იქნება ეს კანონები მუშებისათვის, ამაზე ლაპარაკი მეტია!..

—

პეტერბურგის ს.-დ. კომიტეტის რეზოლიუცია პროფესიონალურ კავშირთა და არჩევნების წინ კამპანიის შესახებ. „პროფესიონალურ კავშირებში მომუშავე ს.-დემოკრატები, შემაერთებელ სიეზდის დადგენილების თანახმათ, ვალდებული არიან გასწიონ აგიტაცია პროფესიონალურ კავშირებში პარტიის საერთო პლატფორმის სასარგებლოთ. რომ ეხლანდელ პირობებში სავსებით ვისარგებლოთ პარტიულ საარჩევნო კამპანიის ინტერესებისათვის პროფესიონალურ კავშირების ორგანოებით და მთელი აპარატით, პეტერბურგის კომიტეტი წინადადებას აძლევს პროფესიონალურ კავშირებში მომუშავე ს.-დემოკრატებს,—ძალა დაატანონ კავშირებს, მიიღონ ოფიციალურათ მოთხოვნათა მინიმუმი, რაც მჭიდროთ შეკავშირებულია პროფესიონალურ ორგანოების ზრდა-განვითარებასთან. ასეთი მოთხოვნებია: 1) ყველა თავისუფლებები 2) რვა საათის სამუშაო დღე 3) შრომის კანონმდებლობითი დაცვა 4) სრულ უფლებიანი ხალხის წარმომადგენლობა ოთხ ფორმულიან საფუძველზე დამყარებული.

ამასთანავე პეტერბურგის კომიტეტი მოაგონებს ამხანაგებს შემაერთებელ სიეზდის დადგენილებას,—ეცადონ დაიცონ კავშირების პარტიული ნეიტრალობა.

—

პეტერბურგის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროს რეზოლიუცია ქალაქის საბჭოს მოქმედების შესახებ. პეტერბურგის ქალაქის საბჭომ ამას წინათ ერთ თავის სხდომაზე განიხილა საკითხი უსაქმოთ დარჩენილ მუშათა შესახებ და სულ უბრალოთ გადაჭრა: ეყოთ უსაქმოთ დარჩენილებს რაც ამდენ ხანს დავეხმარეთ, ეხლა კი დეე შიმშილით სული ამოძვრეთო. ამაზე პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურმა ბიურომ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

„პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური ბიურო სასტიკ პროტესტს აცხადებს ქალაქის საბჭოს მოქმედებაზე, რომელმაც 3 ნოემბრის სხდომაზე გადასწყვიტა, აღარ დაეხმარონ უსაქმოთ დარჩენილებს, იმ დროს, როდესაც დახმარება ყველაზე მეტათ საჭიროა. ამ თავის მოქმედებით პეტერბურგის ქალაქის საბჭომ კიდევ ერთხელ დაარწმუნა პროლეტარიატი, თუ როგორ ფეხებზე კიდია მუშათა კლასის საჭიროება თვითმართველობათა ისეთ ორგანოებს, რომლებიც საზოგადოების უმრავლესობისაგან არ არიან არჩეულნი, არამედ მყვლეფელთა ჯგუფისაგან. ამისდა მიხედვით ცენტრალური ბიურო თავის ულრმეს ზიზღს უცხადებს შავრაზმულ საბჭოს, იმ საბჭოს, რომელმაც შიმშილით სიკვდილის ბრჭყალებში მისცა აუარებელი მუშა, თავიანთ ოჯახებით, ის მუშები, რომელთა სისხლით და ოფლით შექმნილია მთელი ქალაქის აუარებელი სიმდიდრე.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. გიგიბერია.**

განცხადებანი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის

ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგ., ვენერ. (სიფილისი) და საშარდ. ავადმ.

უ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახევ.—10 საათ. თვალისა, შინაგან და ნერვების ავადმყ.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობ.

მ. გ. ავეტისიანი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერ და ქირურგ. ავ. დმყ.

კ. ი. გძელიშვილი: 11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1 ნახევ. ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

ა. ი. შჩერბინინა: 1 ნახ.—2 ს. საბებიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფობანი.

გ. ი. გურგენოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობაიი.

საღამოობით:

ა. მ. პუზინოვი: 5—6 შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

ნ. გ. აბიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7 ნახ. ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი—მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ექიმი უ. მ. ჩიქოვანი

იღებს ყოველ-დღე 12—2 საათ.—ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სახლი № 17.

ელექტრონით მბეჭდავი „შრომა" ამხ.—სა, მიხეილის ქ. № 65.

ნომერი ღირს 10 კაპ.

დამატება
ახალი დროება № 3

R. ამ ნომრისათვის დამზადებული სტატიები — ორი კანონ-პროექტი, საზღვარ-გარეთ და სხვა მასალები, ადგილის უქონლობის გამო, გადაიდო.

სიტყვების ახსნა.

პ

პროფესიონალური—ის, რაც პროფესიას, ხელობას შეეხება, მის თვისებათ ითვლება.

პერიოდული—პერიოდის შესახები; ამბობენ,—პერიოდული წვიმები—დროგამოშვებითი წვიმები, პერიოდული წინადადება—გრძელი წინადადება და სხვა.

პოლონეთი—რუსეთის დასავლეთის ნაწილი გუბერნიები, პოლონეთის სამეფოთ წოდებული,—ვარშავა—მთავარი ქალაქია პოლონეთისა.

პლანი—1. შემოკლებით დახაზვა-დახატვა რამესი, მაგალითად: სტოლის, ოთახის, სახლის, ეზოსი, მიდამოსი, ქუჩისა, ქალაქისა, და სხვა ამგვარისა; 2. გეგმა, წინდაწინ მოსაზრება რაიმე საქმისა და სხვა.

პრუსია—გერმანიის სახელმწიფოს ერთ სამეფოს სახელია; პრუსიის მეფე შეერთებულ გერმანიის იმპერატორია. პრუსიელი—პრუსიიდან.

პროგრამა—1. იმ კითხავების ჩამოთვლა, ჩამოწერა, რომელიც სისრულეში უნდა მოვიყვანოთ. 2. პოლიტიკური პარტიის პროგრამა—პლანიურათ ჩამოთვლა იმ კითხვებისა და მოთხოვნებისა, რომელიც პარტიის შეხედულებასა და იდეალს წარმოადგენს საზოგადო და სახელმწიფოს ცხოვრებაზე; ამ შემთხვევაში—პროგრამა იქნება მინიმუმი—ახლო-მომავალში განსახორციელებელი როგორც, მაგალითად, სოციალისტების პარტიის მინიმუმი—დემოკრატიული რესპუბლიკაა, და პროგრამა იქნება მაქსიმუმი—უფრო შორს მომავალში განსახორციელებელი, მაგალითად,—სოციალისტების მაქსიმუმი პროგრამა არის—საწარმოო იარაღებზე კერძო საკუთრების მოსპობა და სოციალისტურ წესწყობილების დამყარება.

პრაქტიკა—ცხოვრებაში ალსრულება, გატარება სამეცნიერო შეხედულებისა; მიჩვევა, გაჩვევა, ცდა, გამოცდა.

პრაქტიკული—მიზნის-მიმღწევი, საქმიანი, გამოცდილი, პრაქტიკის შესახები.

პრაქტიკი—პრაქტიკული, გამოცდილი.

პფალცი—გერმანიის პროვინცია.

პოლემიკა—რომელიმე სამეცნიერო საზოგადო, თუ სხვა საკითხის შესახებ დავა, კამათი,—უმეტეს შემთხვევაში,—ბეჭდვითი სიტყვით მწერლობაში.

პოლემიკური—პოლემიკის შესახები.

პოლემისტი—მოდავე, მოკამათე, პოლემიკის გამწევი.

პროსპექტი—1. ფართე და სწორე ქუჩა, 2.—რომელიმე საქმის შესახებ მიზნისა და სამოქმედო გეგმის წარმოდგენა.

პროექტი—წინდაწინ დასახვა საქმისა; პლანი, გეგმა.

პორტმანი—ფულის შესანახი, ქისა ტყავისა.

პალტო—გარეთ ჩასაცვამი ევროპიული ტანისამოსი.

პროჟექტორი—1. ერთგვარი გასანათებელი ელექტრონით. 2. „პროჟექტორი“—ისეთი პლანების, გეგმის შემდგენელი, რომელიც ვერ აღსრულდება.

პროპორცია—ერთგვარი წესი არითმეტიკისა (რიცხვისა და ანგარიშისა) მეცნიერებაში.

პროპორციონალური—1. თანაბარი, შეფარდებული, შესაფერი. 2. ამბობენ პროპორციონალური არჩევნები სახალხო წარმომადგენლობაში,—ისეთი წესი არჩევნებისა, როდესაც მცხოვრებთა რომელიმე კლასისა, ან პარტიის წევრთა რიცხვის თანაბრად ირჩევენ წარმომადგენელს, დეპუტატს—ესე იგი, თუ ათი ათასი მცხოვრებიდგან ერთი დეპუტატია ასარჩევი, მაშინ იმდენ დეპუტატს აირჩევენ რამდენი 10,000 წევრი შედის იმ კლისში ან პარტიაში.

პარტეიტაგი—ამ სახელს გერმანულათ უწოდებენ რომელიმე პოლიტიკურ პარტიის „სიეზდს“, წარმომადგენლების საზოგადო კრებას.

პაპიროზი—ერთგვარ ქალალდში ან გილზში მოსაწევათ გამზადებული თუთუნი.

პრინციპიალური—დედა აზრის, პრინციპის შესახები, სახელმძღვანელო აზრის მიხედვით.

პროპაგანდა—ხალხში ახალი აზრების გავრცელება სიტყვით ან მწერლობით, რომ თანამოაზრენი შეიძინონ.

პროპაგანდისტი—გამავრცელებელი ახალი აზრებისა.

პრესა—ბეჭდვითი სიტყვა, უფრო დრო-გამოშვებითი, როგორც გაზეთი, ჟურნალი და სხვა... სრული თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა მხოლოდ ჩრდილო-ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში და ბელგიაშია აღიარებული. სხვაგან-კი თვალყურს ადევნებენ, რაიმე ,,სარწმუნოებისა და ზნეობის'' წინააღმდეგი არ იბეჭდებოდეს.—რუსეთში ხომ უკიდურეს ზომამდეა მიღწეული ბეჭდვითი სიტყვის შევიწროება, ყოველდღე კეტავენ ახალ-ახალ გამოცემებს.

რ

რევოლიუცია—ძალდატანებითი ცვლილება; პოლიტიკური რევოლიუცია—აშკარა ბრძოლა ხალხისა მთავრობასთან, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი წეს-რიგი ძირეულათ შესცვალოს; ცვლილება, რომელიც ერთ რომელიმე ახალ კლასს ანიჭებს ძალა-უფლებას ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციონერი—რევოლიუციაში მონაწილე,—კაცი, რომელსაც რევოლიუცია მიაჩნია აუცილებელ ძალად ქვეყნის წინმსვლელობისათვის.

რევოლიუციური პარტია—რევოლიუციის მომხრე პარტია,—ამბობენ—რევოლიუციური მწერლობა,—რომელშიაც რევოლიუციის საჭიროებაა აღიარებული.

(შემდეგი იქნება).

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ.

წერილი დ. ხონიდან (ქუთ. გუბ.).

ᲒᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲚ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ.

მგონია, რომ ცხოვრებამ თქვენ, ამხანაგო—მუშებო, ნათლათ დაგანახათ, თუ რამდენათ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს თქვენთვის შეკავშირებული, შეერთებული და ძმური მოქმედება! თქვენი აუტანელი ცხოვრების პირობები, რომ გაუმჯობესოთ, საჭიროა ჯერ შეიგნოთ თქვენი დუხჭირი ცხოვრების შინაარსი, და შემდეგ მის გასაუმჯობესებლათ შეგიძლიათ შეერთდეთ, შეკავშირდეთ და, შეერთებულნი ერთი გეგმით ამოქმედდეთ მჩაგვრელ და გაუმაძღარ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. დიახ, შეკავშირებაა საჭირო, თორემ ხედავთ, თქვენი მტრები—ხაზეინები კავშირდებიან და იერიში მოაქვთ დაბეჩავებულ მუშა-ხალხზედ! თქვენ, მგონი, ამხანაგებო, პროვინციელო მუშებო, რეაქციის გამარჯვებამაც დაგარწმუნათ, თუ რამდენათ უვარგისნი არიან თქვენი პროვინციელი აღები!.. სანამ მუშა-ხალხი თავისუფლად აფრიალებდა თავისუფლების დროშას, მანამ, რევოლიუციის ავანგარდ პროლეტარიატის შიშით, ღიპ-მოშვებული წვრილი წურბელა ხაზეინები მოიკაკვენ, დაფრთხენ და ყოველგვარ სამართლიან მოთხოვნილებას ყველა პროფესიის მუშებისას თითქმის დიდი სიამოვნებით აკმაყოფილებდენ, მაგრამ, დრო იცვალა, რეაქციის სუსხმა შიშით მოიცო სუყველა, ჩვენი მოწინააღმდეგენი, გამხნევებულნი რეაქციით, ფიცხლად დაგვებდღვნა და ყოველივე ის უფლებები, ცხოვრების მცირედი გაუმჯობესება, ჩვენი ოფლით, სისხლით მოპოვებილი, უკანვე წაიღეს...—გაიხსენეთ ყოველივე ეს, პროვინციელო მუშებო; ნუ მიცემთ დავიწყებას თქვენს მოწინააღმდეგეთა თავხედობას, და მოემზადეთ მომავლისათვის მაინც, რომ მტერს მტრულად დავხვდეთ, და მათ-მიერ მოტანილი იერიში იოლათ მოვიგეროთ! როგორ, რა საშუალებით შეგვიძლია ჩვენ მტრების მოგერება და დასახულ მიზნის განხორციელება?—**პროფესიონალურ კავშირების შექმნით**. შარშან რომ ვიფიცებოდით, არავითარი მტკიცე კავშირი არ გვქონია; ან, თუ გვქონდა,—ეს დროებითი კავშირი იყო, რომელიც, ერთი გაფიცვის განხორციელების შემდეგ, იქსაქსებოდა, ქრებოდა... ჩვენ ჩვეულებრივად ისევ დაცალკევებული ვრჩებოდით. ამიტომ გაფიცვის შემდეგ დამარცხება იოლი და ხელსაყრელი იყო მყვლეფელთათვის. ჩვენ არავითარი მუდმივი და მკვიდრი ორგანიზაცია არ გვქონია და, აი, სწორედ ჩვენს მოწინააღმდეგეთ, რეაქციის დახმარებით, ძალზე გაუადვილდათ ჩვენზე გაბატონება!! აწი მაინც შევიგნოთ, პროვინციელო, ამხანაგებო, რომ ჩვენთვის მტერთან საბრძოლველათ მჭიდრო და მუდმივი კავშირია საჭირო; ამ შეგნების მიხედვით, სადაც კავშირები არა გვაქვს,—შევკრათ კავშირები ყველა მუშებმა, განურჩევლათ სარწმუნოებისა, ეროვნებისა და მიმართულებისა, ჯერ თვითოეულ პროფესიის და შემდეგ-კი ყველა პროფესიის მუშებმა—ერთი ცენტრალური საბჭო ყველა კავშირების წარმომადგენლობისა. მხოლოდ ასეთი ორგანიზაცია სოციალისტურ პარტიასთან დაგვიცავს ჩვენ მსუნაგ ექსპლოატატორებისაგან, რეაქციის ძალმომრეობისაგან.

ილია ბახტაძე.

თბილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საბჭო სთხოვს ჩვენს რედაქციას, რომ ჩვენ გაზეთში იბეჭდებოდეს დროს შესაფერი წერილები სხვა-და-სხვა მოვლენებზე, როგორც, მაგალითად, ანარქიზმზე, სხვა-და-სხვა პარტიებზე და საზოგადოთ—საზოგადოებისა და სახელმწიფოს საპოლიტიკო—საეკონომიო ცხოვრების საკითხების შესახებ.